# დენმა თბილისსაც დაარტყა!..

**თბილისის** მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის გადასახადი გაიზარდა. სემეკ-ის გადაწყვეტილებით, ელექტროენერგიის შესყიდვის საშუალო შეწონილი ფასი, რომელიც იყო 5.480 თ/კვტსთ და ამჟამად 11.173 თ/კვტსთ გახდა. შესაბამისად მოიმატა დედაქალაქში სამომხმარებლო ტარიფმა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების მიხედვით, დღგ-ს გარეშე, 101 კვტსთ-ის ჩათვლით დენის ფასი 8.034 თეთრი/კვტსთ ნაცვლად იქნება 11.000 თ/კვტსთ; 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით 10.56 თეთრი/კვტსთ ნაცვლად ფასი იქნება 14.400 თ/კვტსთ; 301 კვტსთ-დან და მეტი – 14.998 თეთრი/კვტსთ ნაცვლად 18.200 თ/კვტსთ.


# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 4 სექტემბერი, 2015 წელი.

№165 (7810)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


## მედროვეთა პარპაშს თუ ბოლო არ მოეღო...



3

**მაინც რატომ გაუფასურდა ლარი და გაძვირდა ცხოვრება?**

## გავეტოებული პრეზიდენტი ისევ ვეტოს ქვეშ მოექცა

**საქართველოს პარლამენტმა „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით პრეზიდენტის შენიშვნები და პროექტი არ გაიზიარა და მის მიერ გამოყენებული ვეტო დაძლია.**

თავდაპირველად კენჭი ეყარა პრეზიდენტის მიერ წარდგენილ პროექტს, რომელსაც 14-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 46-მა წინააღმდეგ მისცა ხმა.

ამის შემდეგ კენჭისყრაზე პარლამენტის მიერ მიღებული და პრეზიდენტის მხრიდან ვეტოდადებული კანონპროექტი დადგა, რომელიც 81 ხმით გავიდა. წინააღმდეგი მხოლოდ 12 დეპუტატი იყო. ამით პრეზიდენტის ვეტო დაძლეულია. „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებები, რომელიც ეროვნული ბანკიდან საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქციის გამოყოფას და სსიპ-ის საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, პრეზიდენტს ხელმოსაწერად კიდევ ერთხელ გადაეგზავნება.

თუკი გიორგი მარგველაშვილი კანონპროექტს ხელს კვლავ არ მოაწერს, ამის გაკეთება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მოუწევს.

## პრემიერ-მინისტრი იმედიანად არის

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სასაზღვრო პოლიციის მცურავი საშუალებების ბაზირების პუნქტის ნავმისადგომი გახსნა.**

საქართველოს მთავრობის მეთაურის განმარტებით, სამი წლის განმავლობაში სასაზღვრო პოლიციის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მოხდა სანაპირო დაცვის ფლოტის მოდერნიზაცია.




**„ჩვენი მეგობარი სახელმწიფო ამერიკა მუდმივად გვიდგას მხარში, რამდენიმე ათეულ და ასეული მილიონი დოლარის დახმარება აქვს მიღებული პირდაპირი და არაპირდაპირი სახით ჩვენ მთავრობას, ჩვენს ხალხს“,** – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს პრემიერმა მიმართა საქართველოში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელსაც. მინდა გითხრათ, რომ აშშ-ის მთავრობა მხარში გვიდგას იმისთვის, რომ საქართველოს სანაპირო დაცვა იყოს ისეთი, როგორიც ჩვენ გვეკადრება, როგორიც აქვთ წამყვან საზღვაო სახელმწიფოებს. ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ ის სტანდარტები, რომლებიც არის დამკვიდრებული წამყვან სახელმწიფოებში, დავნერგოთ საქართველოში.

**„ჩვენ ამის მომსწრე ვიყავით სამი წლის წინ. მანამდე ჩვენ ვიხილეთ, რომ წინა მთავრობის დროს მთელი სანაპირო დაცვა იყო უგულებელყოფილი, არავითარი საქმიანობა არ გაწეულა ამ მიმართულებით. მე ვგულისხმობ იმას, რომ მხოლოდ აშშ-ის დახმარება გვქონდა და სათანადო ყურადღება არ ექცეოდა წინა მთავრობის დროს. ასევე, მინდა გითხრათ 100-ზე მეტი მცურავი საშუალება, გემები იქნა გასხვისებული, რაც ვფიქრობ, არის ძალიან დიდი დანაშაული. ჩვენ გვსურს, დღეს დავისახოთ მიზნად, რომ შევქმნათ ძლიერი საზღვაო ფლოტი, სანაპირო დაცვა გახდეს თანამედროვე მოდერნიზებული. გვჯერა, რომ სანაპირო დაცვის გაძლიერება და საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა გააუმჯობესებს ჩვენი ქვეყნის განვითარებას“,** – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

### დედაქალაქი



**ზურაბ გურიელიძე: ახალი ზოოპარკი გვექნება, მაგრამ სამწლიანი ლოდინი დაგვჭირდება...**

4

**თბილისის სატრანსპორტო ქაოსს ვითომ მოვერევით?!.**



16




თიურა ვაშაძე:

**თამაზ ბიბილური და მე**

6

# კიდევ ერთი მრავალსართულიანი კომპლექსი ბათუმში



**ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩაზე 38-სართულიან მრავალფუნქციური კომპლექსი „ალიანს პალასი“ აშენდება. მშენებლობას საძირკველი პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჩაუყარა.**

„ბათუმში შემოდის სასტუმროების ცნობილი ბრენდი „მარიოტი“, რაც მისასალმებელია. მინდა აღვნიშნო „ორბი ჯგუფის“ დამსახურება ბათუმის განვითარებაში. მას 400 მილიონის ინვესტიცია უკვე აქვს განხორციელებული მხოლოდ ბათუმში. ასევე მას აქვს პროექტები თბილისში, გუდაურსა და ბაკურიანში. მნიშვნელოვანია ამ ჯგუფის მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და გაძლიერების საქმეში. დღეს საფუძველს ჩავუყრით ამ არაჩვეულებრივ პროექტს, ეს არის ქართველი არქიტექტორის —მინდია გურგენიძის შემუშავებული არაჩვეულებრივი პროექტი, რომელიც არის მოწონებული ამერიკელი პარტნიორების მიერ. ეს იქნება „ალიანს პალასის“ სასტუმრო და აპარტამენტები, რომლის ჯამური ინვესტიცია შეადგენს 65 მილიონ ლარს. აქ დასაქმდება 1700 ადგილობრივი მცხოვრები, ხოლო ამოქმედების შემდგომ კომპლექსს 600 თანამშრომელი ეყოლება მუდმივად“, — განაცხადა პრემიერმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა დამსწრეთ პროექტის დაწყება მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ სასტუმრო ორ წელიწადში გაიხსნება.

ჟურნალისტებთან საუბრისას პრემიერ—მინისტრმა აჭარის რეგიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა. მისი განმარტებით, 3 წლის განმავლობაში რეგიონში აშენდა 20 ახალი სასტუმრო, მათგან მიმდინარე წელს 4 ახალი სასტუმრო გაიხსნა.

„ალიანს პალასი“ იქნება ექსკლუზიური არქიტექტურით, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და საუკეთესო მდებარეობით გამორჩეული კომპლექსი. კომპლექსში გათვალისწინებულია რეცეფცია, კონსიერჟის სერვისი, დაცვა, ტექნიკური მომსახურება, დალაგების სერვისი, ვიდეომეთვალყურეობა და ა.შ. იგეგმება თანამედროვე ინფრასტრუქტურის განვითარება: მიწისქვეშა ავტოსადგომი, ღია და დახურული აუზები, გამაჯანსაღებელი კომპლექსი, კაზინო, რესტორნები და ა.შ. მშენებლობის პერიოდში დასაქმდება 1700 ადამიანი.

◎ ამასაც მოვესწარით!

# აზარტულ თამაშებსა და ლოთობას გადაყოლილნი

## თინა ხიდაშელი: არ გავითვალისწინებთ არანაირ დამსახურებებს!

**თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ყველა სამოქალაქო თუ სამხედრო პირი, რომელიც დასაქმებულია თავდაცვის სამინისტროში ან შეიარაღებულ ძალებში და დაუდასტურდებათ, რომ ჩაბმულები არიან აზარტულ თამაშებში, სამუდამოდ გათავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. ამ საკითხზე თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა ბრიფინგი გამართა და დეტალები მედიას გააცნო. მისი თქმით, ჯარში სუიციდის შემთხვევების უდიდესი ნაწილი აზარტული თამაშებიდან გამოწვეული ვალების გამო ხდება.**

„სულ რამდენიმე დღის წინათ ჯარისკაცმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ჯარში არის რამდენიმე ასეთი შემთხვევა. ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და სტატისტიკა ადასტურებს, რომ ეს გამოწვეულია იმის გამო, რომ ამ ადამიანებს აქვთ ვალები. მათ შორის, აზარტული თამაშებით არიან დაკავებული და ამის გამო სიცოცხლეს ამთავრებენ თვითმკვლელობით. ჩვენ მაქსიმალურად გავატარებთ პრევენციულ ღონისძიებებს იმისთვის, რომ ან საერთოდ აღარ იყოს ასეთი შემთხვევები, ან მაქსიმალური მინიმალიზაცია მოხდეს. თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, ამ მიმართულებით პოლიტიკა გამკაცრდება, ნებისმიერი პირი, რომელიც მუშაობს თავდაცვის სამინისტროში და არის სამხედრო თუ სამოქალაქო პირი, რომელიც შემჩნეული იქნება და დაუდასტურდება, რომ არის აზარტული თამაშებით დაკავებული, პირველსავე შემთხვევაში გათავისუფლდება სამხედრო სამსახურიდან და უკან ველარ აღდგება. ჩვენ ვიქნებით უკომპრომისო ამ გადაწყვეტილებებში“, — განაცხადა ხიდაშელმა.

ხიდაშელმა ასევე ისაუბრა, იმ სამხედრო პირების სამსახურიდან გათავისუფლებაზე, რომლებიც ნარკოტიკზე ან სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე სიმთვრალეში იქნებიან შემჩნეულები.



„მათ მიმართაც უმკაცრესი ღონისძიებები გატარდება. ყველა ამ შემთხვევაში არავითარი კომპრომისი ჩვენი მხრიდან არ იქნება. არ გავითვალისწინებთ არანაირ დამსახურებებს“, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ასეთი მოთამაშეებისა და ლოთების იმედი უნდა გვქონდეს? ესენი დაიცავენ ქვეყანას?

**იმედა ომიაძე**

# ელჩებს უნდა ჰქონდეთ მუდმივი და დეტალური ინფორმაცია...

**იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი იმედოვნებს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი მას ელჩებთან კომუნიკაციის განსხვავებული ფორმატის შესაძლებლობას მისცემს, რათა საქართველოს დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ფლობდნენ.**



როგორც წულუკიანმა განაცხადა, ამბასადორიალის ფარგლებში მან ელჩებს სწორედ იმ რეფორმების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც ტარდება სამართლებრივ სფეროში.

მინისტრის თქმით, ელჩებს პირველ რიგში, სწორი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ და მიიტანონ იგი იმ ქვეყნის შესაბამის სტრუქტურებამდე, სადაც თვითონ საქმიანობენ. ამისთვის აუცილებელია, რომ მათ ჰქონდეთ მასალები და ამაზე ვისაუბრეთ, როგორ უნდა დავგეგმოთ მომავალი თანამშრომლობა იმისთვის, რომ ის რევოლუციური, უპრეცედენტო სამართლებრივი რეფორმები, სისხლის, სამოქალაქო, საარჩევნო, სამართლის, ქალთა და ბავშვთა უფლებების დაცვის თუ სხვა სფეროებში, რომლებიც იუსტიციის სამინისტრომ სხვებთან ერთად ბოლო სამი წლის განმავლობაში გაატარა, ელჩებს ესმოდეთ, იცოდნენ და ფლობდნენ ინფორმაციას სწორი ფორმით. მგონია, რომ საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი იუსტიციის სამინისტროს განსხვავებული ფორმატის შესაძლებლობასაც მისცემს იმისთვის, რომ მაგალითად ელჩების ჯგუფებთან მოხდეს ცალ-ცალკე შეხვედრები საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ.

# მოგვცემენ თუ არა ვიზალიბერალიზაციას, წლის ბოლოს გავიგებთ



**ევროკომისიის ანგარიში საქართველოს მიერ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით 15 დეკემბერს გამოქვეყნდება , — ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგი გიგიაძემ განაცხადა.**

„საქართველომ შეასრულა დაკისრებული დავალებები. ჩვენ წინმსწრები ანგარიში მიმდინარე წლის 17 აგვისტოს უკვე გავაგზავნეთ. ოთხ შემფასებელ მისიას ველოდებით სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში და ევროკომისიის საბოლოო ანგარიში იქნება მიმდინარე წლის 15 დეკემბერს. იმედი გვაქვს, რომ მეოთხე ანგარიში იქნება საბოლოო და საქართველოს ექნება უკვე საფუძველი, დაელოდოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომელიც ჩვენს მოქალაქეებს შენგენის ზონაში გზას გაუხსნის. ვფიქრობ, იქნება დადებითი შეფასება. ჩვენ, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრო, ვიყავით ამ პროცესის კოორდინატორები და ნამდვილად ამაყები ვართ იმ გაწეული სამუშაოებით, რომელიც საქართველოს სხვადასხვა უწყებებმა განახორციელეს“, — განაცხადა გიგი გიგიაძემ.

ბოლო მესამე ანგარიშით კი, რომელიც ევროკომისიამ გამოაქვეყნა საქართველოს ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 15 პუნქტიდან 8 ჰქონდა სრულად დაკმაყოფილებული, დანარჩენი კი ნაწილობრივ, ან თითქმის დაკმაყოფილებული.

◎ ალიან-ჩალიანი

## საგარეო საქმეთა მინისტრის ყველა მოადგილე თანამდებობას ინარჩუნებს

**პრემიერ-მინისტრის ახალი ბრძანებების მიხედვით ვლადიმერ გურგენიძე , გიგი გიგიაძე, დავით ჯალაღანია და ხათუნა თოთლაძე ამჯერად გიორგი კვირიკაშვილის მოადგილეები იქნებიან. ასევე თანამდებობაზე რჩება დავით დონდუა, რომელიც კვლავაც საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე იქნება.**

## ვინ იქნება ეკონომიკის მინისტრის მოადგილეები

**ეკონომიკის მინისტრის მოადგილეებიდან უწყებაში საქმიანობას ამ დროისთვის მხოლოდ მიხეილ ჯანელიძე აგრძელებს.**

**პრემიერ-მინისტრის შესაბამისი ბრძანების მიხედვით, მიხეილ ჯანელიძე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ახალი მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის მოადგილის თანამდებობაზე 1 სექტემბერს დაინიშნა.**

**რაც შეეხება ეკონომიკის მინისტრის სხვა მოადგილეებს — ნათია მიქელაძეს, ქეთევან ბოჭორიშვილსა და ირმა ქავთარაძეს, ამ ეტაპზე მათთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრის მიერ 1 სექტემბერს გამოცემული მხოლოდ ერთი ბრძანება არსებობს, რომლითაც მათ მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე უფლებამოსილება შეუწყდათ.**

**ვინ იქნებიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ახალი მინისტრის სხვა მოადგილეები, ჯერჯერობით უცნობია.**



## ოდესა ხომ „ააყვავა“, ახლა მთელ უკრაინას „ააყვავებს“

**პოროშენკოს პრესსამსახურის ვებგვერდზე სააკაშვილის პრემიერად დანიშვნის პეტიცია გამოჩნდა.**

**პეტიციის ავტორის აზრით, სააკაშვილს შეუძლია უკრაინაში საჭირო რეფორმების განხორციელება და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა.**

**საქართველოს ექსპრეზიდენტის უკრაინის პრემიერ-მინისტრად დანიშვნის ინიციატივას მხარი ამ დრომდე 1175-მა ადამიანმა დაუჭირა. იმისათვის, რომ ხელისუფლებამ აღნიშნული ინიციატივა განიხილოს, საჭიროა 25 000 ხელმოწერის შეგროვება.**

**პეტიცია ვებგვერდზე 1 სექტემბერიდან 90 დღის განმავლობაში იქნება ატვირთული.**

# მედროვეთა პარპაშს თუ ბოლო არ მოეღო...



**ობიექტურმა და სუბიექტურმა ფაქტორებმა გააუფასურეს ლარი, რომელთა აღქმა, ბუნებრივია, სრულყოფილად არ ძალუძს ადამიანის გონს, მაგრამ რაც მეტ ფაქტორს გავაცნობიერებთ, ამ მხრივ კრიზისის დაძლევაში დაგვეხმარება.**

მრავალი სპეციალისტი თუ არასპეციალისტი თავის მოსაზრებას გამოთქვამს ამ მოვლენაზე. რასაკვირველია, ეს მოვლენა **ანტინომიური** თვისების მატარებელია, ამიტომ თავს უფლებას არ ვაძლევ, მათი მოსაზრებები ჭეშმარიტებად მივიჩნიო ან უარვყო, მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია: ეგრეთ წოდებული ნაციონალები, არასამთავრობოები და არასაპარლამენტო პარტიები ლარის გაუფასურებამ სიხარულისგან აღაფრთოვანა. მათი ქცევის მამოძრავებელი ძალა პატრიოტიზმი კი არაა, არამედ ანგარება. თუნდაც ერთი ადგილის მოპოვება პარლამენტში მათთვის სულიერი ნეტარების ტოლფასია. ამ თვისების მატარებელი ადამიანები საქართველოში, სამწუხაროდ, მრავალია. სანთლით საძებარი გახდნენ საღად მოაზროვნე და ერისათვის თავდადებული ადამიანები.

წინამდებარე სტატიაში მსურს ყურადღება გავამახვილო ორ ძირითად ფაქტორზე, რაც აქამდე არავის დაუსახელებია და უმთავრესია. **ესენია — კერძო საკუთრების ჰეგემონია და ეგრეთ წოდებული მეგობარი სახელმწიფოების მხრიდან დახმარების საგრძნობლად შემცირება.**

დავიწყოთ მეორიდან. დასავლეთი შეშფოთებულია იმის გამო, რომ მისი ყურმოჭრილი მარიონეტი სააკაშვილი თავისი თანამოსაქმეებით ქართველმა ხალხმა ხელისუფლებიდან განდევნა. ახლა იგი ყოველნაირად ხელს უწყობს თაღლითები ხელისუფლებაში დააბრუნონ და კარიერისტ ალასანიას პოლიტიკაში გზა გაუკაფონ. ამისთვის ამჟამინდელ ხელისუფლებაზე ფარულად ძლიერ ზეწოლას ახდენს, რათა საქართველოს მოსახლეობამ მომავალ არჩევნებში მხარი არ დაუჭიროს „ოცნებას“. ჩანაფიქრი მარტივია, რასაც მრავალი ქართველი დღემდე ვერ აცნობიერებს. თუ ამგვარი ჩანაფიქრი აქვს დასავლეთს, მაშინ კვლავ მასთან დასაახლოებლად რატომ გვსურს გზების ძიება?— სწორედ ეს არის ინტეგრალური პოლიტიკის არსი.

**თუ ჩვენ მომავალ არჩევნებში ისეთ ვითარებას შევქმნით, რომ არც ერთი არასაპარლამენტო პარტია ანუ ფსევდოპარტიები თუნდაც ერთ ადგილს ვერ მოიპოვებენ და ნაციონალები, სატელიტ ცრუ პოლიტიკოსის ალასანიას პარტიასთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე პოლიტიკური სარბიელიდან განიდევნებიან, დასავლეთი დარწმუნდება იმაში, რომ თავის ფავორიტებს ქართველი ხალხი ამიერიდან ვერ იგუებს და იძულებული გახდება იმ პოლიტიკურ წრეებთან ითანამშრომლოს, რომელთაც ამომრჩეველი მხარს დაუჭერს.**

ქართველი ხალხისთვის დასავლეთთან მჭიდრო ურთიერთობა აუცილებელია. აგრეთვე მოსაგვარებელი გვაქვს რუსეთთან დაკავშირებული პრობლემები.

რატომ დავაკონკრეტე ნაცების და ჩემ მიერ მრავალჯერ აუგად ხსენებული ალასანიას პარტიის საფუძვლიანად ამოძირკვის თარიღი? — სწორედ ესენი აპირებენ ამ შემოდგომაზე ქვეყანაში ქაოსის შექმნას, რათა ამგვარი მდგომარეობით ისარგებლონ და საწადელს მიაღწიონ. ბუნებრივია, ამას არ დაუშვებს ქართველი ხალხი და ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს უძლიერესი, ხოლო ზემოხსენებული ავისმქნელი პოლიტიკოსები დამარცხებულნი აღმოჩნდებიან. ასეთ მდგომარეობაში მათ გაუადვილდებათ საკუთარი ჰალსტუხების ღეჭვა, რისი გამოცდილებაც აქვთ.

კერძო საკუთრების ჰეგემონიას ლარის გაუფასურებაში ლომის წილი მიუძღვის. სპეციალისტებიც აღნიშნავენ, რომ კომერციული ბანკები დაინტერესებულნი არ არიან ლარის კურსის გამყარებით, პირიქით, მათთვის მომგებიანიც კი არის ეროვნული ვალუტის მერყეობა. ბიზნესმენებიც ერიდებიან შექმნილ პირობებში რაც შეიძლება მეტი დოლარის მიმოქცევაში გაშვებას. რასაკვირველია, ლარის გაუფასურებას ხელს უწყობს ისიც, რომ მიმოქცევაში ლართან ერთად დოლარიც მონაწილეობს. მაგალითად, ბინების, უძრავი ქონების, სესხების გაცემა კვლავ ხდება დოლარებით. კერძო საკუთრების პირობებში ხსენებული პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია. მხოლოდ სახელმწიფოს უნდა ეძლეოდეს უფლება სხვა სახელმწიფოსთან იქონიოს ფინანსური ურთიერთობა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ეროვნული ვალუტის ეგრეთ წოდებული კუპონიზაცია.

მკვეთრად უნდა შემცირდეს თანამდებობის პირების ხელფასი. ამგვარ შემცირებას ეკონომისტები ეწინააღმდეგებიან — სპეციალისტები იმავე კერძო სექტორში გადაინაცვლებენო. ჯერ ერთი, თანამდებობის პირისთვის ხელფასი უნდა იყოს უპირველესი თუ სამშობლოს სიყვარული? მეორეც, სწორედ კერძო საკუთრების ჰეგემონია იწვევს ადამიანში ამგვარ განწყობას.

## მაინც რატომ გაუფასურდა ლარი და გაძვირდა ცხოვრება?

საქართველოში დღეს საკმაო ოდენობის ფული ტრიალებს, მაგრამ რაკი ძლიერ დარღვეულია, ასე ვთქვათ, გათანაბრებული ცხოვრების პრინციპი, ადამიანების მომეტებული ნაწილი სიღატაკეში ცხოვრობს. თუკი უახლოეს წარსულში ქართული პროდუქცია განთქმული იყო, დღეს პროდუქტების ფალსიფიკაციამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მდარე ხარისხის საკვებმა პროდუქტებმა მოიცვა ქართული ბაზარი. ბიზნესმენები ეკონომიკის კრიზისის დროს კიდევ მეტ სარგებელს ნახულობენ. მათ არ აწუხებთ ქვეყნის, ხალხის გასაჭირი. მით უმეტეს, საქართველოში, სადაც ნულს უახლოვდება ეროვნული და მოქალაქეობრივი თვითშეგნების დონე, კერძო საკუთრების ჰეგემონიის დაშვება ქვეყნის კატასტროფას მოასწავებს.

სამეცნიერო წრეებისთვისაც უცხო ხილს წარმოადგენს ეროვნული თვითშეგნების რაობა. რასაკვირველია იგივე ითქმის მემარცხენეობისა და მემარჯვენეობის არსის გარკვევაზე. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ ნაკლებ განსწავლულობას ამჟღავნებენ მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერებიც. მაგრამ კაცობრიობას მოუწოდებენ ეკონომიკის სახელმწიფო რელსებზე გადაყვენისკენ. **თვით აშშ-საც კი, რომელიც მსოფლიოში უმდიდრეს სახელმწიფოდ ითვლება, გამოჩენილი თეორიტიკოსების აზრით, უახლოეს მომავალში, კერძო საკუთრების პირობებში, ეკონომიკური კრიზისი ემუქრება.**

ასეთ მაგალითს მოვიყვან: ერთ-ერთ სუპერმარკეტში შემოიტანეს ეგრეთ წოდებული შუშა კიტრი — ღირებულებით — ერთი კგ. 50 თეთრი. რაკი მეპატრონემ დაინახა, რომ პროდუქტი სწრაფად იყიდებოდა, მეორე დღისთვის კგ. კიტრის ფასი ლარი და 60 თეთრი გახადა. რასაკვირველია, სახელმწიფო საკუთრების პირობებში ამგვარი ქმედება გამორიცხულია. ზოგმა კაი ექსპერტმა შეიძლება თქვას: ეს რა პრიმიტიული მაგალითი მოგყავსო. ხალხს იმგვარი პოლიტიკური ფორმაცია სჭირდება, რაც მეტად დათრგუნავს ადამიანის ეგოისტურ გამოვლენას,— ეს მოხდება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრების პირობებში. პრიმიტიული მაგალითი კი იმიტომ მომყავს, რომ ფართო საზოგადოებისთვისაც გასაგები იყოს მსჯელობა მოცემულ საკითხზე.

შეიძლება დაიბადოს ასეთი კითხვა: თუ სახელმწიფო საკუთრება მისაღებია მომავალი კაცობრიობისათვის, მაშინ რატომ მოიწადინეს საბჭოთა კავშირის დაშლა?

საბჭოთა კავშირის დაშლა თვით რუსი ხალხის ინტერესებში შედიოდა. როგორც ცნობილია, კრემლის მაშინდელი მესვეურნი ყოველნაირად ცდილობდნენ სახელმწიფოს გაერთგვაროვნებას ეროვნულობის მიხედვით, ესე იგი, ამ სახელმწიფოებში უნდა ჩამოყალიბებულიყო საბჭოთა ერი. რასაკვირველია, მოვლენების ამგვარი განვითარება აშფოთებდა საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ერს თვით რუსი ერის ჩათვლით. დიქტატურაც როდი მოსწონდათ საბჭოთა კავშირში შემავალ ერებს. თუმცა, სახელმწიფო საკუთრების ჰეგემონია, რაც ამ სახელმწიფოში დამკვიდრდა, მისაღებ ფორმაციას წარმოადგენდა. ასეთი რამ წარმოვიდგინოთ: ინდივიდს, რომელსაც ზოგი რამ დადებითი აქვს და დიდი დანაშაული ჩაიდინა — არ უნდა დაისაჯოს?

საბჭოთა იმპერიამ თავისი უმკაცრესი რეჟიმით და ზემოხსენებული გაერთგვაროვნების იდეით კაცობრიობისთვის სრულიად მისაღები სახელმწიფო საკუთრების ჰეგემონიის დისკრედიტაცია მოახდინა. ჩანს, ფართო საზოგადოებისთვის ამ საკითხში გარკვევა რთულია.

მართალია, ჩინეთის ეკონომიკა მთლიანად სახელმწიფო დაქვემდებარებაშია, მაგრამ იქ დამკვიდრებული კერძო საკუთრება მომავალში, ასე ვთქვათ, თავისას იტყვის და ამ ქვეყანაშიც დაუძლეველი პრობლემები შეიქმნება. მილიარდ-ნახევარი მოსახლეობის მქონე ჩინეთისთვის კერძო საკუთრების ჰეგემონიას ნაკლები ზიანის მოტანა შეუძლია, ვიდრე, ოთხი თუ ხუთი მილიონი ქართველისთვის. დავუშვათ, ხსენებული საკუთრების ჰეგემონიამ ჩინეთის მოსახლეობა თხუთმეტჯერ შეამცირა, ესე იგი მისი მოსახლეობა შემცირდება 100 მილიონამდე. გამოდის, ასეთ პირობებშიც კი ჩინეთი მოსახლეობის მხრითაც არ იქნება პატარა, ხოლო საქართველოს მოსახლეობის თხუთმეტჯერ შემცირება გამოიწვევს კატასტროფას — ხუთმილიონიანი საქართველო შემცირდება 15-20 ათასამდე. თუ გვსურს ქართველი ერის გადარჩენა, საჭიროა თანდათანობით, ეტაპობრივად გადავიდეთ სახელმწიფო საკუთრებაზე. მაგრამ აქ დილემის წინაშე ვდგავართ — დასავლეთის სახელმწიფოები ისე არ გვეხმარებიან, თუ ეკონომიკა მთლიანად არ გამოვა სახელმწიფო დაქვემდებარებიდან. ამისთვის საჭიროა დასავლეთს დავუმტკიცოთ ის აუცილებლობა, რომ შემოსაღებია სახელმწიფო საკუთრების ჰეგემონია. აკი, მათი თეორეტიკოსებიც იგივეს ურჩევენ სახელმწიფოთა ადმინისტრაციებს, რომ ეკონომიკა რაც შეიძლება სწრაფად დაუქვემდებარონ სახელმწიფოს.

შეიძლება ასეთი კითხვაც დაიბადოს: რატომ უჭერთ მხარს „ოცნებას“ — ისიც ხომ კერძო საკუთრების მქადაგებელია? — ჩემი მხრიდან პასუხი ასეთი იქნება: უპირველესად ამოსაძირკვია სააკაშვილის რეჟიმი, პოლიტიკური სარბიელიდან გასადევნია ალასანიას პარტია, გასანეიტრალებელია არასაპარლამენტო პარტიები. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, სააკისტებს ამომრჩეველი უკვე აღარ ენდობა, ინტელიგენცია სასტიკად გმობს ვიწრო ჰორიზონტის მქონე ალასანიას და მის პარტიას; ფაქტობრივად ფუნქცია დაკარგა „ახალ მემარჯვენეთა“ და „ქრისტიან დემოკრატიულმა“ პარტიებმა. სულ მალე მათ ბედს გაიზიარებენ დანარჩენი არასაპარლამენტო პარტიები, რაც ქართველი ერისთვის დიდი იმედის მომცემი იქნება, ვინაიდან ამიერიდან მაინც ადგილი არ ექნება უმეცართა პარპაშს პოლიტიკურ სარბიელზე.

**როდესაც საქართველო თავისუფალი იქნება ზემოხსენებული მედროვეთა პარპაშისაგან, დაწყნარებულ გულზე ქართველმა ხალხმა, რასაკვირველია, ინტელექტუალთა ხელმძღვანელობით უნდა შეიმუშაოს რეალობისთვის შესატყვისი პოლიტიკურ-ეკონიმუკური მოდელი, რაც დაეყრდნობა სახელმწიფო საკუთრების ჰეგემონიას. ასეთ ვითარებაში მოსახლეობა იმ პარტიას დაუჭერს მხარს, რომლის პროგრამაც სახელმწიფო საკუთრებით ჰეგემონიას დაეყრდნობა. თუ ამ მხრივ „ოცნება“ შეიცვლის თავის იდეოლოგიას, ამომრჩეველი კვლავ მას დაუჭერს მხარს, როგორც ქართველი ერის უგულებელმყოფელი სააკისტების დამმარცხებელ პოლიტიკურ ძალას.**

**ონისე მჭარიაშვილი**

---

**ალიან-ჩალიანი**

## უგულავა ადვოკატებს ცხვირსახოცივით იცვლის



**თბილისის ყოფილ მერს, პატიმრობაში მყოფ გიგი უგულავას დღეიდან სახაზინო ადვოკატი დაიცავს, — ამის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოში „ტელეიმედისა“ და რიყის ტერიტორიის საქმეზე პროკურორმა მალხაზ კაპანაძემ განაცხადა.**

**როგორც პროკურორმა აღნიშნა, სასამართლოზე გუშინ დაცვის მხარეს დასკვნითი სიტყვა უნდა გაეგრძელებინა, თუმცა უგულავას ადვოკატი გიორგი კონდახიშვილი კვლავ არ გამოცხადდა სასამართლოში. პროკურორის თქმით, ადვოკატმა წარმოადგინა განცხადება, რომლის მიხედვითაც, არც დღეს, არც ხვალ და არც ზეგ პროცესზე არ გამოცხადდება. სწორედ აქედან გამომდინარე, უნდა მოხდეს სახაზინო ადვოკატის დანიშვნა. დღეს, 11:00 საათზე ჩაინიშნა პროცესი, რომელზეც, პროკურორის ინფორმაციით, გადაწყდება ტექნიკური დეტალები. გიგი უგულავას ამ საქმეზე სახაზინო ადვოკატი დაიცავს. რაც შეეხება ადვოკატის გამოუცხადებლობას, როგორც მალხაზ კაპანაძემ აღნიშნა, ეს გიგი უგულავას უკვე მეექვსე ადვოკატია, დაცვის მხარე კი ამ დრომდე დასკვნით სიტყვას არ ასრულებს, რაც მისი თქმით, პროცესის ხელოვნურ გაჭიანურებას უკავშირდება.**

**კითხვაზე, რატომ შეიძლება სურდეს უგულავას მხარეს პროცესის გაჭიანურება, პროკურორმა აღნიშნა, რომ ამ კითხვას უგულავას მხარემ უნდა უპასუხოს.**

**ინტერპრესი**



## ზურაბ გურიელიძე:

# ახალი ზოოპარკი გვექნება, მაგრამ სამწლიანი ლოდინი დაგვჭირდება...

**თბილისის ზოოპარკი ყოველთვის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. 13 ივნისის ტრაგედიამ მის გარშემო უამრავი სკანდალი ააგორა და უბედურება დაატრიალა. ახლა კი, რამდენიმე დღეში ზოოპარკი კვლავ დაიწყებს ფუნქციონირებას და ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება. რას შესთავაზებს ზოოპარკის ადმინისტრაცია აქ მოსულ დამთვალიერებელს და რისი მოგვარება მოხერხდა ტრაგედიიდან სამ თვეში, ამის შესახებ ზოოპარკის დირექტორი ზურაბ გურიელიძე გვესაუბრება:**

— ამდენი პრობლემის მიუხედავად, შევძელით, რომ თბილისის ზოოპარკი აღგვედგინა და განახლებული ძალით შევდგომოდით საქმეს. რაღაც ტექნიკური საკითხები დარჩა მოსაგვარებელი, მაგრამ ამ დღეებში, სექტემბრის პირველ ნახევარში აუცილებლად გავხსნით.

წყალდიდობის გამო საკმაოდ დიდი რაოდენობით ცხოველი დაიღუპა, თუმცა, რაც გადარჩა, მას მზრუნველობას არ ვაკლებთ...

**— ლომები გადარჩნენ?**

— თეთრი ლომების ოჯახი გადარჩა, ლეოპარდებიც გადარჩა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი ვეფხვი არ არის გადარჩენილი.

**— მაიმუნები, დათვები?**

— არც ერთი მაიმუნი არ გადარჩენილა. სამი დათვი კი გადარჩა. აქედან ერთი ახლა ლომის თავშესაფარში იმყოფება, მაგრამ მათთვის მალე ახალ ვოლიერს ავაშენებთ.

**— მგლები, მელიები, ტურები?..**

— მელიებიდან არც ერთი არ გადარჩენილა. ორი მგელი გადარჩა. ტურები გადარჩნენ, იმის მიუხედავად, რომ მათი თავშესაფარი დაიტბორა; მაინც მოახერხეს გადარჩენა, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს... რაც მთავარია, გვყავს ბეჰემოტი, მასაც ვუშენებთ ახალ ვოლიერს. ასევე გადარჩა მარტორქა. გადარჩნენ ირმებიც... ასე რომ, აქ მოსულ დამთვალიერებელს საინტერესო ცხოველები ელოდებიან. იფუნქციონირებს ატრაქციონებიც.

**— ხომ არ შეიცვალა თქვენი ბიუჯეტი?**

— არა, ბიუჯეტი არ შეცვლილა. ჩვენ თბილისის მერია გვაფინანსებს და ასევე გვქონდა საკუთარი შემოსავალი. მერიამ დამატებით 100 ათასი ლარი გამოგვიყო ტერიტორიის შემოსაღობად და ახალი ვოლიერებისთვის. საკუთარი შემოსავლები, რა თქმა უნდა, შემცირდა, მაგრამ... თუ ხალხი ივლის, შემოსავალიც გაიზრდება; ანუ დამთვალიერებელზე დიდად არის დამოკიდებული, რამდენად სწრაფად განვითარდება ზოოპარკი.

**— რამდენად კარგად არიან დაცული ცხოველები. ტრაგედიის დროს ითქვა, რომ ცხოველებს ჩიპები ჰქონდათ...**

— როდესაც ისეთი დონის კატასტროფა ხდება, როგორც 13 ივნისის საღამოს დატრიალდა, არანაირი უსაფრთხოების გეგმა არ არსებობს. ჩიპებზე ძალიან დილეტანტურად საუბრობდნენ. ვიღაცას ჰქონდა ყურმოკრული, რომ სატელიტიდან შეიძლებოდა ცხოველის მოძებნა. რა თქმა უნდა, არსებობს ისეთი ჩიპები, რომელიც სატელიტს სიგნალს აწვდიან, მაგრამ მათ ხომ სჭირდებათ ენერგია ე. წ. აკუმულატორი. მუდმივად დატენილი ვერ იქნება. ამდენად დაახლოებით ყოველ 6 თვეში ერთხელ თითოეული ცხოველი უნდა დააძინო, გაუკეთო ქირურგიული მანიპულაცია და ჩაუდგა ჩიპი. ეს საკმაოდ ძვირადღირებული პროცესია. თანაც მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, ვინაიდან ცხოველის ტრანკვილიზაცია, მით უფრო ქირურგიული მანიპულაციისთვის, დიდ რისკებს უკავშირდება. შეიძლება ნარკოზიდან ვერ გამოვიდეს. რაც შეეხება ჩვეულებრივ ჩიპებს, ის ყველა ცხოველს აქვს და ამის მიხედვით ხდება მათი იდენტიფიკაცია. მაგრამ სკანირება ცხოველის სიახლოვეს უნდა მოხდეს, დისტანციურად იგი ვერ მუშაობს.

**— ხომ არ ელოდებით ახალი ცხოველების ჩამოყვანას?**

— რა თქმა უნდა, ველოდებით. ჩვენ დახმარებისთვის მივმართეთ ევროპის ზოოპარკების ასოციაციას და ბევრმა ზოოპარკმა შემოგვთავაზა ცხოველები. 30-მდე ცხოველი ელოდება ტრანსპორტირებას და გაზაფხულამდე ეტაპობრივად მოხდება მათი შემოყვანა. გვეყოლება მაიმუნების რამდენიმე სახეობა, ზებრები... ანუ ადვილად მოსავლელი ცხოველები, რომელთაც განსაკუთრებული პირობები არ სჭირდებათ.

**— ვეფხვებს ან ლომებს არ ელოდებით?**

— ჯერჯერობით, არა. თუმცა, ჩვენ გვაქვს საერთაშორისო დონის ძალიან კარგი ვოლიერები. იქ ვაპირებდით ლომების ოჯახის გადაყვანას. ვერ მოვასწარით, სულ რაღაც ორი დღე დაგვაგვიანდა. თუკი იქნება შემოთავაზება, ვეფხვებსაც სიამოვნებით მივიღებთ.

**— თითქოს ითქვა, რომ ზოოპარკი მალე თბილისის ზღვის მიმდებარედ აშენდებოდა...**

— ალადინის ჯადოსნური ლამპარი უნდა გქონდეს, რომ 3 თვეში ახალი ზოოპარკი ააშენო. ადგილი შერჩეული გვაქვს და პროექტებზე კონცეპტუალურ დონეზე ვმუშაობთ, მერე გენერალურ გეგმაზე გადავალთ და ა. შ.

**— ფინანსები დათვლილია?**

— სანამ პროექტებზე მუშაობა არ დასრულდება, ხარჯთაღრიცხვა ნაადრევია. ფინანსების კორექტირება თითოეულმა დეტალმა შეიძლება გამოიწვიოს.

**— ახალი ზოოპარკის მშენებლობას სახელმწიფო დააფინანსებს თუ კერძო ბიზნესი?**

— ამ ეტაპზე ესეც გაურკვეველია. ყველაზე ოპტიმალური გათვლებითაც კი ზოოპარკის მშენებლობის დაწყებას მინიმუმ სამი წელიწადი დასჭირდება, დამთავრებაზე უკვე აღარაფერს ვამბობ...

**— ბატონო ზურაბ, ზოოპარკი ყოველთვის პოპულარული იყო, მაგრამ არავინ ინტერესდებოდა, ვინ იყო მისი დირექტორი. ივნისის ტრაგედიამ კი თქვენც ცნობადი გაგხადათ.**

— ხალხს არასწორი წარმოდგენა ჰქონდა ზოოპარკის დირექტორებსა თუ თანამშრომლებზე... რატომღაც ეგონათ, რომ ჩვენ სიამოვნებას გვანიჭებდა ცხოველების წვალება. ეს დამოკიდებულება აბსოლუტურად შორს არის სინამდვილისგან. პირიქით, ჩვენ თითოეულ ცხოველზე დიდი გულისყურითა და სიყვარულით ვზრუნავთ.

კარგია, რომ ზოოპარკის ადმინისტრაციის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამისთვის ძალიან დიდი ფასის გადახდა მოგვიწია...

ესაუბრა
**თეა მოსია**



# „მზიურსა“ და ზოოპარკს მალე ძველებურად ვეწვევით...

**თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მოადგილეებთან ერთად, ზოოპარკისა და „მზიურის“ მიმდებარე ტერიტორია დაათვალიერა და იქ მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.**

დავით ნარმანიასთან ერთად კეთილმოწყობის, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურების უფროსებიც იმყოფებოდნენ, რომლებმაც მერისგან დამატებითი დავალებები მიიღეს.

ზოოპარკის ტერიტორიაზე ე.წ ზედა ნაწილის გახსნა, რომელიც 13 ივნისის სტიქიის დროს ნაკლებად დაზიანდა 13 სექტემბერს იგეგმება. შემოიღობება ზოოპარკის ტერიტორია, შიგნით კი ე.წ ქვედა და ზედა იარუსებს შორის ტიხარი გაკეთდება.

რაც შეეხება საბავშვო ატრაქციონებს, მათი დიდი ნაწილი უკვე მოყვანილია მწყობრში. კონტრაქტორებს კი მერიისგან წლის ბოლომდე საგადასახადო შეღავათი მიეცათ და ისინი არენდის გადასახადისგან გათავისუფლდნენ.



თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, მდინარე ვერეს ხეობაში სამუშაოები უწყვეტად მიმდინარეობს. დაზიანებულ გზაზე კეთდება სახიდე გადასასვლელი, წესრიგდება ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორია და ხორციელდება სამუშაოები, რათა ეტაპობრივად მოსახლეობამ თავისუფლად გადაადგილება „მზიურის“ ტერიტორიაზეც შეძლოს.

**„სამუშაოები მიმდინარეობს საკმაოდ ინტენსიურ რეჟიმში. გვინდა, რომ სექტემბრის შუა რიცხვებისთვის ზოოპარკის ტერიტორია გაიხსნას და ეტაპობრივად ადამიანებმა შეძლონ თავისუფლად „მზიურის“ ტერიტორიაზე შემოსვლა“,** — განაცხადა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსის ბიძინა გიორგობიანის განცხადებით, „მზიურის“ ტერიტორიაზე გამხმარი და დაზიანებული ხეები მოიჭრება და ტერიტორია დასუფთავდება.

**„ვფიქრობთ, რომ 11-12 სექტემბერს დავასრულებთ ტერიტორიის წესრიგში მოყვანას. ასევე, „მზიურის“ ტერიტორიაზე განვახორციელებთ დაზიანებული და გამხმარი ხეების მოჭრას, გამოტანას და ტერიტორიის შეძლებისდაგვარად დასუფთავებას ისე, რომ „მზიურშიც“ ეტაპობრივად შეძლონ უკვე ვიზიტიორებმა ჩამოსვლა და დასვენება“,** — განაცხადა ბიძინა გიორგობიანმა.

**„ჩვენ მივიღეთ დავალებები, გზის ორივე მხარის დასუფთავებასთან, ფერდების აღდგენასთან, რეაბილიტაციასთან და დამატებით გაწმენდით სამუშაოებთან დაკავშირებით. ამ დავალებების შესრულებას ვაპირებთ მანამ, სანამ გზა გაიხსნება. გზასთან ერთად დასრულდება ის მონაკვეთები, რაც გახსნისთვის არის საჭირო, დანარჩენი კი ეტაპობრივად, როდესაც სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდება“,** — განაცხადა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ავთანდილ სუდაძემ.

გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, ზოოპარკის ტეროტორია საბოლოოდ მთლიანად მოირეცხება და ვიზიტიორების მისაღებად მზად იქნება.

ვერა წყდებოდა პარიზს ვერც ჰენრი მილერი.

თავისი ამერიკა ერჩივნა ევროპას, თავისი ქალაქები აქაურ ქალაქებს და თვით პარიზსაც, მაგრამ ვერა და ვერ გამოშორებოდა და, ბოლომდე რომ მინებდებოდა ამ ანდამატურ ძალას, კიდეც აღიარებდა, უპარიზოდ მასაც ისევე რომ ვერ წარმოედგინა სიცოცხლე, როგორც უთვალავ უცხოელს.

და ამერიკელები რაღა გამონაკლისნი უნდა ყოფილიყვნენ!..

და მით უფრო — ხელოვანნი, პარიზში რომ ჰპოვებდნენ საკუთარ თავს, იქ ამოიზრდებოდნენ და სახელსაც იქიდან მიაწვდენდნენ თავიანთ სამშობლოს — ახლა მაინც გვიწამეთ და დაგვაფასეთ, მსოფლიო გემოვნების კანონმდებელმა გარემომ გვაღიარაო.

ტოდენ ამერიკული ლიტერატურის სიმბოლოდ კი არ დაესახა, სულაც ქვეყნისათვის გაეიგივებინა და... ნიშნი მოეგო ევროპისათვის, იმჟამად ამხელა სულიერების კაცი თქვენ არა გყოლიათ და რა თავი გამოგიდიათო.

უიტმენი ის სარკე იყო, რომელში მთელი ამერიკული ცხოვრება აირეკლა, მისი წარსული და მომავალი, დაბადება და სიკვდილიო, — ჰენრი მილერი რომ განაცხადებდა, იქვე ამასაც მოადევნებდა, ოდნავი ეჭვიც რომ არავისათვის დაეტოვებინა, ცოტა მეტი ხომ არ მოსდის შეფასებისასო:

— რაც რამ ფასეული იყო ამერიკაში, უიტმენმა აღწერა და სათქმელი აღარც არაფერი დაგვიტოვა.

მომავალი მანქანებს ეკუთვნოდათ, რობოტებს?

არ გადახაზავდა, ეგაა, უფრო თავშეკავებულად განაგრძობდა მსჯელობას, თავშეკავებულად იმ გამაოგნებელ შეფასებასთან შედარებით, თორემ ისე რა მოგახსენოთ:

— საპატიო მოქალაქე იყო, პედანტი, მოსაბეზრებელი ტიპი; უნივერსალური სული, რომელიც გერმანული სასაქონლო ნიშნით, ფრთაგაშლილი არწივით იყო დაღდასმული. გოეთეს სიდინჯე, მისი ოლიმპიური სიმშვიდე სხვა არაფერია, თუ არა ზეციური ნეტარების ბიურგერული ვარიანტი.

და ამ სტრიქონებს კი უნდა მოჰყვეს ის ფინალური აკორდი, რომელიც ამ ტენდენციური დახასიათების საზღვარს სცილდება და თავისთავად უთუოდ საგულისხმოა:

# განთიადის წინამორბედნი





თანამოკალმეებისა არ იყოს, ჰენრი მილერის შემოქმედებითი გზაც სწორედ ამ — თავისთავად განსაზღვრული — სქემით წარიმართებოდა.

და ისიც აღუვლენდა დითირამბს პარიზს, რომელსაც ერნესტ ჰემინგუეისავით პირდაპირ არ მოიხსენიებდა განუყრელ დღესასწაულად, მაგრამ მგზნებარე პათოსითა და სულისკვეთებით მისი თხრობაც სწორედ ამგვარივე შთაბეჭდილებას დატოვებდა, რომ ეს ქალაქი მისთვისაც მარადიული ზეიმის განსახიერება გახლდათ, თან რომ წამოგყვებოდა, სადაც უნდა ყოფილიყავი.

რომანის — „კირჩხიბის ტროპიკი“ — ერთ პასაჟში ორი პერსონაჟი მთელი საღამოს განმავლობაში ერთმანეთს რომ ადარებს პარიზსა და ნიუ-იორკს, ორივეს ძალდაუტანებლად ახსენდება უოლტ უიტმენი:

— ის ერთადერთი ღირსეული ადამიანი, რომელიც ამ უკიდეგანო ქვეყანამ შვა მთელი თავისი ხანმოკლე ისტორიის მანძილზე.

ავტობიოგრაფიული ყაიდისაა ეს რომანი და მთავარი გმირის ალტერ ეგო თვითონ მწერალი რომ არის, ეს მონაკვეთიც უნდა აღვიქვათ უშუალო გამჟღავნებად ჰენრი მილერის შეხედულებისა „ბალახის ფოთლების“ შემოქმედზე, მცირე ესეიდ რომ წარმოგვიდგება თავისი შინაგანი სივრცითა და კომპოზიციური აგებულებით, შთამბეჭდავი აკორდითაც რომ ბოლოვდება და სწორედ ეს ფინალია, ვაჟა-ფშაველას რომ წამოგვაგონებს, თორემ ვაჟას პიროვნულ კონსტიტუციასა და მხატვრულ სამყაროზე დაფიქრებისას რატომ უნდა გაგვხსენებოდა „კირჩხიბის ტროპიკი“?!.

ის ერთადერთი ღირსეული ადამიანიო...

არ მოჰკლებოდა გმობა და განქიქება უიტმენს არც სიცოცხლეში და არც გარდაცვალების შემდგომ, და არც ხოტბა და ქება-დიდება მოჰკლებოდა, ასე რომ, იმ ორ უკიდურეს პოლუსს შორის გადიგამოდიოდა მისი სახელი.

ჰენრი მილერი მის დითირამბიკოსთა შორის იმყოფებოდა და ხელიდან არ გაუშვებდა ხელსაყრელ შემთხვევას, თვით რომანშიც კი, სადაც საამისოდ თითქოს შესაფერისი ადგილი არ მოიძებნება, მოხდენილი ესეი ჩაერთო და თანაც ისე აეზიდა უოლტ უიტმენის სახელი, მარ-

მილერს ამ მრუმე პერსპექტივის განჭვრეტისას ის მაინც მოჰგვრიდა ოდნავ შვებას, უიტმენი ხომ მაინც დარჩებოდა ერთადერთ ჰუმანურ არსებად, სულისა და ხორცისაგან შემდგარ ერთადერთ პოეტად, პირველად და უკანასკნელად!..

ფაქტობრივად, დღესდღეობით მისი ამოხსნა შეუძლებელიც კი გახდაო, — გრძელდებოდა დითირამბი, — იმ ძეგლად იქცა, რომელიც გაუგებარი იეროგლიფებითა და სიმბოლოებით არის შემკული და მათი ამომკითხავი კაცი აღარ დადის ქვეყანაზეო.

პარიზის ლიტერატურულ წრეებში ტრიალისას მილერი აღმოაჩენდა, რომ ევროპაში უიტმენის სახელის ხსენება ცოტა უცნაურადაც გამოიყურებოდა.

ცხადია, ვერ მოითმენდა, რომ ამის მიზეზს გულდასმით არ ჩაჰკვირვებოდა და მისი გამომწვევი მექანიზმიც არ ამოეხსნა, მიზეზად კი ის გამოირკვეოდა, რომ აქაურობისათვის სრულიად უცხო გახლდათ ის სულიერი აღმაფრენა, რომელსაც ამერიკელი პოეტი უმღეროდა და რომელიც უკვდავყო კიდეც.

ევროპისათვის ვითომ რატომ უნდა ყოფილიყო სრულიად უცხო ეს სულიერი აღმაფრენა?

ევროპა ხელოვნებით არის დაბიჟვინებულიო, — გვიმტკიცებდა ჰენრი მილერი, — მისი ნიადაგი მიცვალებულთა ძვლებმა გაანოყივრა, მისი მუზეუმები ლამის დაინგრეს განძთა სიუხვით... მაგრამ ევროპას არასოდეს ღირსებია ჯანსაღი და თავისუფალი სული, ანუ სხვა სიტყვებით, ის, რასაც ადამიანი ჰქვიაო.

კი მაგრამ, ნუთუ ევროპას არ შეეძლო, საფალავნო ასპარეზზე გამოეყვანა თავისი დიდებული სახელები?

თავისუფალი სულით ნუთუ ვერავინ შეეტოლებოდა უოლტ უიტმენს?

მილერი ივარაუდებდა, ევროპელები, ალბათ, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სახელით მოიწონებენ თავსო, და ნაწილობრივ დაეთანხმებოდა, რაკიღა იგი ყველაზე ახლოს ეგულებოდა სულის სიჯანსაღესა და თავისუფლებასთან, მაგრამ...

უიტმენის გვერდით ძალზე ფერმკრთალი მოეჩვენებოდა, ის კი არა, უხეშობასაც არ მოერიდებოდა და „გაბღენძილ არარაობად“ მოიხსენიებდა.

იქვე იგრძნობდა, მგონი, მეტი მომივიდაო, თუმც ამ სიტყვებს გადახაზვით

— გოეთე რაღაცის დასასრულია, უიტმენი კი — დასაწყისი.

იმის სათქმელად, რომ სადაც გერმანელი შემოქმედი ამთავრებდა, ამერიკელი სწორედ იქიდან იწყებდა, არ გახლდათ აუცილებელი გოეთეს კარიკატურული, მეტისმეტად ჩამუქებული პორტრეტის შექმნა, სავსებით კმაროდა მისი პიროვნებისა და ღვაწლის მიუკერძოებელი წარმოჩენა.

ასეა თუ ისე, ევროპის დაისი მილერისათვის ამერიკული განთიადის დასაწყისია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობაშიც და მხატვრულ აზროვნებაშიც.

ჩვენთვის მთავარი, ცხადია, მხატვრულ თავისებურებათა შეპირისპირებაა, ხედვის ის კუთხეა, რომლის გადმოსახედიდანაც გოეთე იმ რაღაცის დასასრულიცაა, რომლის დასაწყისადაც ვაჟა-ფშაველაც წარმოგვიდგება.

ვაჟას ნაწერები ჰენრი მილერისთვისაც ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო, ნეტა სად მოუძებნიდა ადგილს, დააყენებდა უოლტ უიტმენის გვერდით, როგორც ჯანსაღი და თავისუფალი სულის გამომხატველს, თუ არ გაემეტებოდა ასეთი აღზევება და რაიმე ნაკლსა თუ სულაც ნაკლოვანებებს გამოუძებნიდა, რათა რამდენიმე საფეხურით ჩამოექვეითებინა?!.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ ხომ მაინც შეგვიძლია იმ ფრაზასა თუ ლიტერატურულ ფორმულაში უოლტ უიტმენის ჩანაცვლება ვაჟა-ფშაველათი?!.

და ჩავანაცვლოთ და ეგ იქნება!..

და დანარჩენ სამყაროსაც როგორმე მივაწვდინოთ ეს მოსაზრება, ვაჟა-ფშაველა სწორედაც სახელთა ამ რკალში რომ უნდა ტრიალებდეს, ამ სამზერიდან განისჯებოდეს მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა საერთოდ და ჰომეროსული ეპოსი კერძოდ.

საამისო გზა კი გვეგულება — პარიზი, ჩვენთვისაც განუყრელ დღესასწაულად რომ უნდა გადაიქცეს და რაც შეიძლება მალე, თორემ აღარ ეგვიანება.

**ამ გზაზე კი სახელმწიფომ უნდა გაგვიყვანოს, თუკი მართლა დამოუკიდებელნი ვართ და საბოლოოდ გამოხსნილნი არა მარტო პოლიტიკურ კაბალას, არამედ — მონურ ფსიქოლოგიასაც, მთავრის უმთავრესი რაც არის.**

* * *

უოლტ უიტმენი უდავოდ არის რაღაცის დასაწყისი.

იმ რაღაცის, სად ვაჟა-ფშაველაც წამომართულა.



ცხადია, ეს ყოველივე იოჰან ვოლფგანგ გოეთეს დამცირების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს.

დაე, თავისი იცოდეს ჰენრი მილერმა, მაგრამ ჩვენც ჩვენი ვიცოდეთ!..

**როსტომ ჩხეიძე**

## ამერ-იმერი

### ზაფხულის ტურისტული სეზონი შეაჯამეს, ემზადებიან ზამთრისთვის

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სვანეთში სასტუმროების მფლობელებს შეხვდა.

მესტიაში კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად გიორგი ჩოგოვაძემ ზაფხულის ტურისტული სეზონი შეაჯამა. სასტუმროების მფლობელებთან ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ზამთრის სეზონის მზადების შესახებ ისაუბრა. გიორგი ჩოგოვაძე სვანეთში სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩასულ ტურისტებსაც გაესაუბრა.

მესტიაში არსებული განთავსების ობიექტების მფლობელების განცხადებით, წელს სასტუმროების დატვირთა გაზრდილია და საერთაშორისო მოგზაურებთან ერთად სულ უფრო მეტი შიდავიზიტიორი სტუმრობს სვანეთს.

როგორც ტურიზმის ადმინისტრაციაში აცხადებენ, საქართველოში ტურისტთა ზრდას აჩვენებს ოფიციალური სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც, 2015 წლის ზაფხულის სეზონზე, საერთაშორისო ვიზიტიორების რიცხვი 10 % -ით, ტურისტების კი 2,4 % ით არის გაზრდილი.

### „მოსიარულე ბიბლიოთეკა“ ზემო სვანეთის სოფლებისკენ გაემგზავრა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან წიგნებით დატვირთულმა ავტობუსმა ზემო სვანეთის სოფლებისკენ აიღო გეზი. პროექტის ფარგლებში ლიტერატურით დატვირთული ავტობუსი 17 სასკოლო ბიბლიოთეკას მოამარაგებს.

პროექტი „წიგნი ყველა სოფელს“ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის ორგანიზატორია ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „სტუდენტური ერთიანობა“. პროექტის პარტნიორები არიან „ვისოლ ჯგუფი“, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა და „პალიტრა L“.



პროექტის ფარგლებში წიგნების დიდი მარაგი წელს უკვე დაურიგდა რაჭის სკოლებს. პროექტის წარმომადგენლები სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დალოცა და რაჭაში გააცილა. მეორე ეტაპზე „მოსიარულე ბიბლიოთეკა“ კიდევ ერთ მაღალმთიან მუნიციპალიტეტს მესტიას ეწვევა. ორგანიზატორების ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში წიგნების შეგროვების პროცესი მთელი თბილისის მასშტაბით მიმდინარეობს. აქტივობები 25 ივლისიდან დაიწყო. „წიგნი ყველა სოფელს“ გრძელვადიანი პროექტია და მაღალმთიანი სოფლების მწირი სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნის ფონდის გამდიდრებას ისახავს მიზნად.

### აჩანაგებენ ბუნებას

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს თანამშრომლებმა შუახევის მუნიციპალიტეტში კანონდარღვევის რამდენიმე ფაქტი გამოავლინეს. სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლებმა პრევენციული ღონისძიების ჩატარების შედეგად შუახევში უკანონოდ მოქმედი სახერხი საამქროები, მიწის არამიზნობრივი გამოყენებისა და უკანონოდ მოპოვებული მრგვალი მორების ტრანსპორტირების ფაქტები გამოავლინეს.

სამინისტროს ცნობით, სამართალდამრღვევებს ჩამოერთვათ უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყე, ასევე დაილუქა სახერხი საამქროები.

**ინტერპრესი**

# ღვთაებრივი და მიწიერი...



**ორიოდე კვირის წინათ დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში საკუთარი მეუღლის გვერდით დაკრძალეთ თანამედროვე ქართველ ჟურნალისტთა და მწერალთა დიდი ოჯახის მშვენება, დიდებული კალმოსანი და სტილისტ-რედაქტორი, რამდენიმე პუბლიცისტური წიგნის ავტორი, მცირეთათვის დამახასიათებელი სათნოებით და პატიოსნებით გამორჩეული მხევალი ღვთისა თიურა ვაშაძე.**

**მისი ბოლო, ახალთახალი წიგნი „ლიტერატურული პორტრეტები და დიალოგები" შედგენილია მკითხველისთვის დღემდე უცნობი უიშვიათესი ნამცვრევებით, თვალადური ქართულით დაწერილი ნარკვევებით და დიალოგებით. განსაკუთრებით საინტერესოა სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე შექმნილი „დიალოგი პირად საკითხებზე, ანუ თამაზ ბიბილური და მე".**

**ამ ორი პიროვნების უმწიკვლო სიყვარულსა და ურთიერთობაზე, როგორც იტყვიან, ლეგენდები დადიოდა ჩვენს თაობაში. მსგავსი ღვთაებრივი და მიწიერი ჰარმონია ძნელი წარმოსადგენი იყო შურით, გამჩვენეობით, ძალადობითა და სამოქალაქო ომებით დამძიმებულ მეოცე საუკუნეში.**

**რადგანაც წიგნი მცირე ტირაჟით დაიბეჭდა, თიურა ვაშაძის თაობის ჟურნალისტებმა და მწერლებმა მოკრძალებით გვთხოვეს ამ „დიალოგის" პრესის ფურცლებზე გამომზეურება.**

**ჩვენი რედაქცია სიამოვნებით ასრულებს ამ თხოვნას.**

**სპარტაკ ქობულია**

**– როდის შემოვიდა თამაზ ბიბილური თქვენ ცხოვრებაში?**

– 1957 წლის სექტემბერში, როცა პირველად „შევხვდი" მის სახელსა და გვარს.

მეორე კურსის სტუდენტებს, დოცენტმა თამარ ბელინსკაიამ ჟურნალ „ცისკრის" ივლისის ნომერი შემოგვიტანა და წაგვიკითხა მანამდე ჩვენთვის უცნობი ავტორის – თამაზ ბიბილურის სამი ნოველა: „ჩემი და", „მრისხანე კაცი", „გაპარვა" და მომავალ ჟურნალისტებს მათი თარგმნა დაგვავალა.

მოკლე ფრაზები, ლაღი მეტყველება, მშვენიერი ქართული საშუალებას იძლეოდა წინადადება რუსულად იოლად აგვეგო და პირველი ნაბიჯიც გადაგვედგა მთარგმნელობით საქმიანობაში. მალე თამაზ ბიბილურის სახელი რესპუბლიკური პრესის ფურცლებზეც გამოჩნდა და ჩვენ გაფაციცებით ვადევნებდით თვალს მის შემოქმედებას.

მეხუთე კურსზე კი მე და ჩემი ექვსიოდე თანაჯგუფელი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" მიგვავლინეს პრაქტიკაზე. სამოციან წლებში ქართულ ახალგაზრდულ გაზეთში (მაშინ საქართველოში ქართულ ენაზე რესპუბლიკური მნიშვნელობის ხუთიოდე გაზეთი გამოდიოდა) ბევრი ნიჭიერი ჟურნალისტი მუშაობდა, მაგრამ ჩვენთვის თამაზ ბიბილური მაინც გამორჩეული იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი პირველი ზიარება მხატვრულ თარგმანთან მის სახელთან იყო დაკავშირებული, თანაც ასაკითაც ახლოს იყო ჩვენთან.

სარედაქციო გარემომ მისდამი კრძალვა და სიმპათია კიდევ უფრო გაზარდა – სრული ჰარმონია სუფევდა მის შემოქმედებითსა და სულიერ პორტრეტს შორის.

დამთავრდა პრაქტიკა და დასრულდა უნივერსიტეტში სწავლის წლებიც. ზაფხულის ერთ დღეს, რუსთაველის პროსპექტზე მიმავალმა, თამაზ ბიბილურსა და ნოდარ ებრალიძეს მოვკარი თვალი. მეორე მხარეს გადასვლას ვერ მოვასწრებდი, არადა, არ ვიცოდი, რა მექნა – თავჩაღუნულს გამევლო თუ მივსალმებოდი... მე ხომ ისიც არ ვიცოდი, დავამახსოვრდი თუ არა მათ. როცა გავუსწორდი, შეჩერდნენ, მომესალმნენ და მომიკითხეს, თანაც დასძინეს – რატომ არ შემოივლი ჩვენთან, რედაქციაშიო.

ფრთაშესხმული ვიყავი, ბედნიერი – მათ შემამჩნიეს!

შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ისევე როგორც არდადეგებისას, თბილისიდან გავედი. სამსახურზე ზრუნვა შემოდგომისთვის გადავდე.

და აი, 1961 წლის ოქტომბრის ორში (ამ დღეს რა დამავიწყებს!) ჭიათურაში მირეკავს ნორა ნორაკიძე (მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე, რომელთანაც „გავიარე" პრაქტიკა და რომელსაც დიდი წვალების ფასად დაუდგენია ჩემი ადგილსამყოფელი) და მეუბნება: ფეხით რომ მოგიხდეს ჩამოსვლა, ხვალ დილით რედაქციაში უნდა გამოცხადდე რედაქტორთანო.

...აი, ასე გავხდი ამ დიდებული „ოჯახის" წევრი, – „ოჯახისა", სადაც მე და თამაზმა ერთად 13 წელი გავატარეთ. შემდეგ კი ის მწერალთა კავშირის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გადავიდა, მე იქვე დავრჩი.

**– როგორც ვიცით, ბატონმა თამაზმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. მან როგორღა აირჩია ჟურნალისტის პროფესია?**

– ჩვენი ბავშვობის გატაცებები, სამომავლო გზის არჩევანი და პროფესიული საქმიანობის დასაწყისი ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

ბავშვობის გატაცებას მან დიდებულად გადაუხადა ხარკი წერილით – „თეატრი ბავშვობიდან იწყება", რომლის მსგავსსაც იშვიათად შეხვდებით ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ეს წერილი ოდაა თეატრზე. ხოლო მისი „ბატონი უნივერსიტეტი" ნიმუშია იმ თაყვანისცემისა, რომელსაც ახალგაზრდა უნდა გრძნობდეს მეცნიერების ტაძრისა თუ წინაპართა მიმართ. თაყვანისცემის გრძნობა კი დიდებული რამაა.

უკვე ჩამოყალიბებულ პროზაიკოსს, ერთმა ახალგაზრდა კრიტიკოსმა, რომელიც დიალოგისთვის ეწვია, უთხრა, თქვენს პროზაში აშკარად იგრძნობა თეატრალური აქსესუარებიო, რაც თამაზმაც დაუდასტურა და უპასუხა: „ჩემი თავი ხშირად დამიჭერია: როცა რომანს ვწერ, ჯერ სამოქმედო არეს განვსაზღვრავ, „დეკორაციას" ვაგებ, მერე „მუსიკას ვთხზავ", მერე სინათლის პარტიტურას და ბოლოს იწყება „თამაში", ანუ წერა"...

თამაზი ბავშვობისას რეჟისორობაზე ოცნებობდა, თანაც კარგადაც წერდა. ბოლოს წერის სურვილმა დასძლია და ჟურნალისტობა ირჩია.

რაც შეეხება პროფესიული საქმიანობის დასაწყისს, თავად ასე გვიამბობს: გიორგი გელაშვილს „პირველად 1957 წლის მიწურულს შევხვდი. იგი ქართულ ახალგაზრდულ გაზეთს რედაქტორობდა.

მივედი სრულიად უცნობ კაცთან და მოთხრობა დავუტოვე. მომეჩვენა, რომ ცივად შემხვდა და მოთხრობის გამოქვეყნების იმედი მაინცდამაინც არ მქონდა.

ორი დღის შემდეგ გაზეთი გადავშალე. მოთხრობა გამოექვეყნებინათ.

...ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაევლო, რომ ერთ დღეს, დიდუბის უბანში, უცნობმა კაცმა კარზე დამიკაკუნა და მითხრა, რომ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორი გიორგი გელაშვილი მეძებდა, რომ მისი მანქანა სახლის კარებთან მელოდა."

ასე გახდა თამაზ ბიბილური ქართული ახალგაზრდული გაზეთის თანამშრომელი.

**– მართლაც საოცარი მსგავსებაა თქვენს პროფესიულ ორიენტირში. პიროვნულ მსგავსებაზე რას გვეტყვით?**

– ერთნაირი გატაცებები პიროვნული მსგავსების რაღაც ნაწილიცაა. თუმცა მსგავსება ყველაზე მეტად მარადიულ ფასეულობათა მიმართ ჩვენ დამოკიდებულებაში ვლინდება ხოლმე.

მახსოვს, ახლად დამეგობრებულ კოლეგასთან (ის სხვა გაზეთში მუშაობდა) მოვხვდი დაბადების დღეზე. სუფრასთან ჩემთვის ნაცნობი თითქმის არავინ იყო. განსაკუთრებით ერთი ახალგაზრდა ლიტერატორი კაცი მაკვირდებოდა. ისეთი დაფიქრებული და დაჟინებული მზერა ჰქონდა, რომ უხერხულ მდგომარეობაშიც კი ჩავვარდი. მან შენიშნა ჩემი უხერხულობა და ყველას გასაგონად მომმართა: ვიღაცას მახსენებთ, ძალზე მშობლიურსა და საყვარელს, მაგრამ ვის – ვწვალობ, ვწვალობ და ვერ აღმიდგენიაო. ბოლოს კი პათეტიკურად შესძახა: ღმერთო, როგორ მაგონებს თამაზ ბიბილურსო.

და კიდევ:

მე და ნანა ღვინეფაძე ჭიათურაში მიგვავლინეს. ის იქაური თეატრის მთავარ რეჟისორს უნდა შეხვდეს. მე სკოლები უნდა მოვიარო. ბინად ჩემს მშობლიურ სახლში ვართ, მასპინძელი კი ჩემი მამიდაშვილი – ნუნუ ტუსკიაა. რა თქმა უნდა, სახლში უფრო მყუდრო გარემოა სასაუბროდ და რეჟისორი შინ მოვიწვიეთ. მან ჯერ არ იცის ჩემი ვინაობა, არც ის – სად ვმუშაობ... და ყველასთვის მოულოდნელად მეკითხება, თამაზ ბიბილური რა არის თქვენიო.

– მეგობარიო, – ჩემ მაგივრად პასუხობს ნანა.

– საოცარი მსგავსებააო, – ჩაილაპარაკებს.

რეჟისორმა თეიმურაზ ალექსიშვილმა, აკაკი წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრში დადგა თამაზის ორი სატელევიზიო პიესა – „ვიღაც გვეძახის" და „მთვარიანი ღამის სტუმრები", უფრო ადრე კი, თეატრალურ ინსტიტუტში, ლილი იოსელიანის ხელმძღვანელობით, დამდგმელი იყო საკურსო სპექტაკლისა „ვიღაც გვეძახის". სწორედ იქიდან იცნობდა თამაზს.

ეტყობა, სულიერი მსგავსება უფრო მეტყველია „მგრძნობიარე" პროფესიის ადამიანებისათვის, ვიდრე გარეგნული.

**– ამ ორი სატელევიზიო პიესის ხსენებამ თქვენი რედაქტორობით გამოსული ერთ-ერთი წიგნიდან მოკლე კომენტარი გაგვახსენა: რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, თამაზ ბიბილურზე პირველი მოკლე რეცენზიები დაიწერა, როგორც დრამატურგზე და არა, როგორც ბელეტრისტზე ან პუბლიცისტზეო. რატომ უნდა ყოფილიყო ეს საოცარი – მისი ბავშვობის დიდი გატაცება ხომ თეატრი იყო?!**

– და მაინც, მაშინდელი მისი გადახვევა დრამატურგიისაკენ შემთხვევითობის ბრალი იყო.

მას უკვე ჰქონდა გამოქვეყნებული რამდენიმე მშვენიერი მოთხრობა, თუმცა ამას გამოხმაურება არ მოჰყოლია, თუ არ გავიხსენებთ ერთ პატარა ცნობას, სადაც ძალზე შთამბეჭდავად გაიელვა თამაზ ბიბილურის სახელმა. გურამ გვერდწითელი ჟურნალ „ცისკარის" მიმოხილვითს წერილში წერდა: „ამას წინ, მწერალთა კავშირში, „ცისკრის" მოთხრობებს არჩევდნენ, რომლებიც 1967 წლის ნომრებში იყო დაბეჭდილი. იმ სხდომაზე ერთი ჩვენი უხუცესი და ღვაწლმოსილი მწერალი, სერგო კლდიაშვილი გამოვიდა, მან დამსწრეთ მიმართა და სიტყვა ასე დაიწყო: მინდა მოგილოცოთ კიდევ ერთი ქართველი მწერლის დაბადებაო. თამაზ ბიბილურის მოთხრობები წაეკითხა და თავისი შეუმცდარი მწერლის თვალით დაენახა, რომ ამ ახალგაზრდა კაცს მწერალი ეთქმოდა. მხოლოდ წრფელი გულიდან ამომავალი სიტყვები შეიძლება იყოს ასე უბრალო და თბილი".

„გადახვევა" დრამატურგიისაკენ კი აი, ასე მოხდა:

ჩვენი უმცროსი მეგობარი და კოლეგა ჯემალ ქურხული ავარიაში მოჰყვა. საავადმყოფოდან გამოწერილი, მკურნალობის გასაგრძელებლად, სოფელში – დედასთან წაიყვანეს. ერთ შაბათსა თუ კვირადღეს თამაზი მის სანახავად წავიდა და მეორე დღემდე იქ დარჩა.

სწორედ მაშინ გადმოსცა საქართველოს ტელევიზიამ ცნობა, რომ ცხადდებოდა კონკურსი ქართულ სატელევიზიო პიესაზე. რადგან პიესის ავტორთა ვინაობა „საქვეყნოდ" არ იქნებოდა „გამოფენილი", თამაზმა, პატარა ნაძლევის ფასად (რა თქმა უნდა, ეს ნაძლევი ნივთიერი არ იყო), იქვე, მეგობრის სასთუმალთან, ნახევარ საათსა თუ ორმოც წუთში (საათი ჰქონიათ დანიშნული) დაწერა „ვიღაც გვეძახის". პიესამ გაიმარჯვა და დადგმის უფლება მოიპოვა.

ეს იყო ქართული სატელევიზიო თეატრის პირველი სპექტაკლი.

ამას მოჰყვა ამავე ტემპით დაწერილი მეორე სატელევიზიო პიესაც – „მთვარიანი ღამის სტუმრები":

დაახლოებით ორი საათის მისულები ვიქნებოდით სამსახურიდან სახლებში, რომ თამაზმა დამირეკა და მთხოვა, გალაკტიონის ორი ლექსი („გაგონდება თუ არა" და „მახსოვს ხარაგოულის") შემეხსენებინა. დამთავრება ძლივს მოვასწარი, რომ ყურმილი დამიკიდა.

სამსახურში მოსულს, მეორე დღეს ვკითხე, რაში დაგჭირდა ლექსები-მეთქი. – პიესას ვწერდი, წიგნში მოძებნის დრო არ მქონდა და ამიტომაც შენთან შევამოწმე, რამდენად სწორად მახსოვდაო (ახალგაზრდობაში პოეზიით ვიყავი გატაცებული და... ჩემი ნდობა ნამდვილად შეიძლებოდა).

აი, ასე, „ერთი ამოსუნთქვით" წერდა თამაზი და თანაც – როგორ ლაღად და ლირიკულად!

სწორედ ამ პიესებს მოჰყვა პატარა რეცენზიებიც – ტელევიზიის პოპულარობას, აბა, რა დაუდგება წინ!

„ცისფერი ეკრანიდან" პიესებმა თეატრებში გადაინაცვლა და სპექტაკლებად იქცა.

**– გვაპატიეთ, თემიდან გადავუხვიეთ. თქვენს პირად ურთიერთობებზე ვსაუბრობდით, ჩვენ კი...**

– არა, – პირიქით. რომ არა ეს კითხვა, შეიძლება გამოგვრჩენოდა ჩვენი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი დეტალი – საუბრები ტელეფონით. მოგეხსენებათ, ჟურნალისტის პროფესია ისეთია, რომ, ალბათ, ყველაზე ნაკლებ ექვემდებარება განსაზღვრულ სამუშაო საათებს. ხვალისთვის გაზეთს მასალა სჭირდება. გინდა თუ არ გინდა, კეთილი უნდა ინებო და, ღამის გათენებამაც რომ მოგიწიოს, ხვალ დილით წერილი რედაქციაში უნდა მიიტანო. წერის პროცესში კი, თუ რამე ისეთი წამოტივტივდა, რომ ვერ გადაგიწყვეტია, თქვა თუ არ თქვა, ან როგორ თქვა, ან თუნდაც წამიერად ვიღაცის გვარი, წიგნის სახელწოდება ან ფილმისა „ამოგივარდა" თავიდან, ვის მიმართავ, თუ არა საიმედო მეგობარს, რათა მაშინვე შეგეშველოს და აზრი, რომლის გადატანაც ფურცელზე გინდა, „არ გაგიწყდეს"?!

# თიურა ვაშაძე:




ამგვარი საუბრები ჩვენ შორის ხშირი იყო. თუმცა ზოგჯერ გავგულისდებოდი და შევუტევდი – გამოცდას ხომ არ მიწყობ-მეთქი. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა, როცა საუბარი მუსიკას შეეხებოდა. ის რომელიმე ქრესტომათიული სიმფონიის ორიოდე ფრაზის მოსმენისას გეტყოდათ, ვისია, რა ნაწარმოებია და, წარმოიდგინეთ, იმასაც კი, ვინ დირიჟორობს ორკესტრს.

ის წერდა და თან აუცილებლად კლასიკურ მუსიკას უსმენდა.

**– როგორც თქვენი მაგალითიდან ჩანს, შეყვარებულ წყვილს ერთად მუშაობა ხელს არ უშლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში.**

– ხელი რატომ უნდა შეუშალოს?! – პირიქით: როცა შენ გვერდით ისეთი ადამიანია, რომლის პიროვნული ხიბლით და პროფესიონალიზმით აღტაცებული ხარ, ცდილობ, თავი არ შეირცხვინო, მთელი შენი ინტელექტუალური ძალები მოიკრიბო და რაც შეიძლება ღრმად ჩაიხედო იმ საკითხებში, რომლებზედაც წერ. თანაც, ყველაფერს რომ თავი დაანებო, იმ მცირე ჩამონათვალთაგან, რაც ადამიანის ცხოვრებას აზრს აძლევს, ერთ-ერთი უმთავრესთაგანი ხომ პროფესიაცაა?!

**– გამოგიტყდებით, ძალიან გვაინტერესებს თქვენი სიყვარულის ისტორია.**

– ამას უფრო მეგობრობის ისტორია ეთქმის, რაც სიყვარულის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანთაგანია. ძველი ინდური ტრაქტატი „კამა-სუტრა" ბრძანებს: „ადამიანის მისწრაფებას სამი წყარო აქვს: სული, გონება და სხეული. სულთა მისწრაფება წარმოქმნის მეგობრობას, გონების მისწრაფება – პატივისცემას, სხეულის მისწრაფება – სურვილს. სამი მისწრაფების შეერთება კი ქმნის სიყვარულს".

თურმე არც ისე იოლი მისაღწევი ყოფილა სიყვარული, რაზედაც დღეს ასე თავისუფლად ლაპარაკობენ და უმეტესწილად სხეულის მისწრაფებასთან აიგივებენ. არადა, სწორედ ის ორი უმთავრესი – მეგობრობა და პატივისცემა ამუხრუჭებს, აკონტროლებს მესამეს, რათა ინსტინქტმა არ სძლიოს ღვთაებრივს და სიყვარული თაყვანისცემის რანგამდე აჰყავს. თავშეკავება ის თვისებაა, რო-

# თამაზ ბიბილური და მე




ამაზე არასდროს ვსაუბრობდით), რომ შეუძლებელი იყო, რაიმე დამუქრებოდა ჩვენს რწმენას ერთმანეთის მიმართ.

**– როდის გადალახეთ ეს „ბარიერი?“**

– ძალიან გვიან – ჩვენი მეგობრობის მე-18 წელს, როცა თამაზმა დიდი მღელვარების შემდეგ გაბედა და მითხრა: არ არსებობს მესამე, რომელმაც შეიძლება წარმოიდგინოს იმ ურთიერთობის უჩვეულობა, რაც ჩვენ შორისაა და იქნებ ვერც მე წარმომედგინა, შენ რომ არ შემხვედროდიო. თან შიშით დაამატა, თუ მის წინადადებას არ მივიღებდი, სამუდამოდ დამევიწყებინა ეს საღამო, ისიც, რაც ითქვა და კვლავ იმად დავრჩენილიყავით, რაც დღემდე ვიყავით ერთმანეთისთვის.

მაგრამ სათქმელი ითქვა და... პირველად გაჩნდა ჩვენ შორის უხერხულობის გრძნობა, აუცილებლობაც გადაწყვეტილების მიღებისა – ან ერთად უნდა ვყოფილიყავით, ან დავცილებოდით – ძველებურად ვეღარაფერი იქნებოდა.

დაცილება ვერც კი წარმოგვედგინა. ამიტომ დრო ვითხოვე იმისათვის, რომ შევგუებოდი სხვაგვარ ურთიერთობაზე ფიქრს, ფიქრს ღვთაებრივისა და მიწიერის ჰარმონიაზე.

ერთი წლის შემდეგ ვიქორწინეთ.

**– ნუთუ მხოლოდ 18 წლის შემდეგ გითხრათ, რომ უყვარდით?**

– არა, არც მაშინ უთქვამს ის სიტყვა, რომელსაც თქვენ ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ. გულწრფელი გრძნობები ხომ ისედაც მეტყველია და ყოველგვარი სიტყვა მასთან უძლურია. ჭეშმარიტებაა, რომ რაც უფრო ძლიერია გრძნობები, მით უფრო ძნელია შესაფერისი სიტყვათა სამოსი მოძებნო მათ გამოსახატავად.

...ეს სიტყვა გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე მითხრა.

შვებულება დაგვიმთავრდა. სურამიდან ვბრუნდებით, ამჯერად მატარებლით. თამაზს არ დაურეკავს თავისიანებისთვის, რომ მანქანით ჩამოეკითხათ. მე ძალიან ვღელავ, მაგრამ არ ვიმჩნევ, მეშინია, ვაგონის ფანჯრები ღია იქნება და ორპირში თამაზი გაცივდება. ის ხომ არასდროს გამოთქვამს ამგვარ „წვრილმანზე“ პროტესტს და, რაც უნდა უჭირდეს, არავის მოსთხოვს – სარკმელი მიხურეთო.

მელმაც, თუ კაცის ხასიათში ბინა დაიდო, თუნდაც სიყვარულთან დაკავშირებით, შემდეგშიც გაჰყვება, პატიოსნების თავმდებად დაუდგება, ყველა საცდურის დაძლევაში შეეშველება.

გინახავთ ოდესმე სიყვარული სიზმარში? გიგრძნიათ ის სულისშემძვრელი, არამიწიერი სითბო და სინაზე, რომელიც მხოლოდ სიზმრიდან შეიძლება გადმოგყვეთ? ამგვარი სრულქმნილი განცდა შეუძლებელია ცხადში გქონდეს, რადგან გამოღვიძებული უკვე ხარისხებად თუ სხვადასხვაგვარ სიყვარულად ანაწილებ შენს გრძნობას (რა თქმა უნდა, თუ საერთოდ გაქვს ნიჭი სიყვარულისა). ამიტომ ცხადში ისე მძაფრად ვერ შეიგრძნობ სიყვარულის არსს, როგორც მაშინ, როცა ამ სიყვარულს საგანი არა აქვს, კონკრეტული სახელი არა აქვს, სხეული არა აქვს. ალბათ ამგვარ სიყვარულზე ამბობს იოანე მოციქული თავის II ეპისტოლეში, რომ სიყვარული ღმერთი არს.

თამაზი ჩემთვის სიზმრისეულ სიყვარულს განასახიერებდა, მოხელთებულს ცხადში.

...შეიძლება ამიტომაც მე არ მჯერა ნათქვამისა – სიყვარული ბრმააო. ჩემი აზრით, სრულიად საწინააღმდეგო მოვლენაა – ძალზე ნათელი მხედველობა აქვს და ეშინია, სიყვარულის საგანში ისეთი რამ არ დაინახოს, რაც ოცნებებს დაუმსხვრევს.

**– ამიტომ დაგიგვიანდათ ქორწინება?**

– არა! – მოკრძალების გამო, თორემ ერთმანეთს ისე კარგად ვიცნობდით, ისე ღრმად ვიხედებოდით ერთმანეთის სულში (თუმც უბედურება ისაა, რომ არც მე მომცემს ამის თქმის უფლებას.

ბაქანზე ვდგავართ. სადაცაა ჩამოდგება მატარებელი. თამაზი ღიმილით მიყურებს და „მიმხელს“, რომ ის ბედნიერია, რადგან ძალიან ვუყვარდი და იქ – მიღმა სამყაროშიც ვეყვარები. მე მიხარია მისი აღიარება, თუმცა, თავს უხერხულად ვგრძნობ და რაც შეიძლება ღირსეული თავდაჭერით ვიღებ ხმამაღლა ნათქვამს იმაზე, რაც უთქმელადაც კარგად ვიცით ერთმანეთის გრძნობებზე.

**– თქვენ ერთგან წერთ, რომ ერთობლივმა ცხოვრებამაც კი ვერა დააკლო რა იმ მშვენიერსა და ამაღლებულს, რასაც რომანტიკოსი და ამავე დროს მაქსიმალისტი პერსონები ერთმანეთისგან მოითხოვენო. ნუთუ მამაკაცებსაც ასეთივე ამაღლებული სიყვარული შეუძლიათ?**

– დიახ, ასე გახლდათ. თამაზი ხომ პოეტური პროზის ოსტატი იყო და, უკვე როგორც გითხარით, სრული ჰარმონია სუფევდა მის სულიერსა და შემოქმედებით პორტრეტს შორის.

**– ნუთუ არასდროს გიჩხუბიათ?**

– როგორც ჩანს, ჩვენი ურთიერთობა ძალზე სენტიმენტალური გეჩვენათ. არადა, ხშირად ხომ გრძნობები საქციელით ინიღბება – თავს არ აძლევ უფლებას, გარეთ გამოფინო ის სინაზე, რაც გულშია.

ჩვენ მეგობრები ვიყავით და თანაც – კოლეგები. ისე რომ, საერთოც ბევრი გვქონდა და აქედან გამომდინარე – საკამათოც. რაც შეეხება თქვენს კითხვას – „ჩხუბისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ გაბუტვით კი ხშირად ვიბუტებოდით.

თავდაპირველად გაბუტვა ჩვენს დადგმულ „ჩხუბს“ მოჰყვებოდა ხოლმე. ორივეს ძალზე თბილი ურთიერთობა გვქონდა ჩვენზე 10-14 წლით უფროს მეგობრებთან – ეთერ სახვაძესთან და ნორა ნორაკიძესთან. მათ ისე ძალიან ვუყვარდით, რომ გაოცებული ვიყავი, რითი ვიმსახურებდით ამდენ სითბოსა და მშობლიურ მზრუნველობას (ამაზე ერთხელ ეთერმა მითხრა: ჩემი ხნის რომ იქნები, თავად იპოვი პასუხს ამ კითხვაზეო) და ამ დადგმული ჩხუბის მაყურებლებად, გამშველებლებად და დამზავებლებადაც სწორედ ეს ორი მოიაზრებოდა. ეტყობა, მეც და თამაზსაც ერთნაირად მოგვწონდა რომ გვეტყოდნენ ხოლმე: ვერც ძლებთ უერთმანეთოდ და ვერც ეწყობით, პირდაპირ ძაღლსა და კატასავით ხართო.

თამაზი წინასწარ მეტყოდა: მოდი, „დეიდები“ გადავრიოთ. მე შემოვალ, შენს მაგიდასთან დავჯდები, ცოტა ხნის შემდეგ შენ სახაზავს დამარტყამ, ოღონდ მოზომე, ძალიან არ მოგივიდეს, ხომ იცი, რა მწარე ხელი გაქვსო. მე კი ვერ მოვზომავდი, და ამას მოჰყვებოდა ხოლმე: გოგო თავისთვის მუშაობდა, შენ კი, როგორც ყოველთვის, შემოხვედი და აუხირდი, მანამ არ მოისვენე, ვიდრე მოთმინებიდან არ გამოიყვანეო.

დიახ, ამგვარ თამაშს მოჰყვებოდა ხოლმე თვეობით გაბუტვა.

მე ღიღინ-ღიღინით ჩავუვლიდი ხოლმე მის ოთახს, ვითომ – ხომ ხედავ, სულაც არ ვნაღვლობ შენს გაბუტვასო.

ის კი შემოვიდოდა ჩვენს ოთახში, სადაც მე, ეთერი და ნორა ვისხედით. არც კი შემოგვხედავდა. აივანზე გამავალ კართან დაიდგამდა სკამს, ზურგს შემოგვაქცევდა და გასცქეროდა სივრცეს.

აივანი მართლაც დიდებული გვქონდა – „თერთმეტსართულიანი სახლის“ მეორე სართულზე. ამავ სართულზე იყო ჟურნალი „მნათობი“ და „მთავლიტი“, ანუ ცენზურა.

შესვენებისას ამ აივანზე ვხვდებოდით ერთმანეთს სამივე დაწესებულების თანამშრომლები. ხოლო, თუ ბატონი გიორგი გელაშვილი გასული იყო რედაქციიდან, შესვენების ერთ საათს ბადმინტონის თამაშს ვანდომებდით (სხვათა შორის, ბადმინტონის აღჭურვილობა ქალებს სარვამარტოდ რედაქციამ გვაჩუქა).

განტვირთვა მართლაც გვჭირდებოდა. სარედაქციო სამუშაო გაზეთში მუდამ თავსაყრელი იყო.

**– როგორი მეუღლე იყო – ყურადღებით ეკიდებოდა თქვენს ჩაცმულობას და, საერთოდ, თქვენს გარეგნულ იერს?**

– ვისარგებლებ და პასუხს იმ ამბიდან დავიწყებ, რომელიც თითქოსდა არ უკავშირდება კითხვას, მაგრამ ეს – მხოლოდ ერთი შეხედვით.

ჩვენი გაზეთის იუბილე იყო. ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართული საზეიმო ცერემონიალის შემდეგ, ბანკეტი იმართებოდა ვაკის პარკის რესტორანში. დაგვიანებით მომიხდა მისვლა. ადგილები შევსებული ჩანდა. მე დაბნეული ვიდექი კარებთან და თვალებცეცებით ვეძებდი თავისუფალ სკამს.

– შეხედე, შეხედე, ბემბი, ნამდვილი ბემბი! – ხმამაღლა წამოიძახა კარლო საკანდელიძემ და გურამ საღარაძე ჩემკენ გამოახედა.

ქათინაურზე ალმური მომედო და დავიბენი.

ნოდარ ებრალიძე და თამაზ ბიბილური, რომლებიც მათ გვერდით ისხდნენ, ისე „სათნოდ“ მიღიმოდნენ, თითქოს მათთან გაბუტული არცა ვყოფილვარ (დღესაც ვერ გეტყვით, თამაზთან ერთად რატომ ვებუტებოდი მის საუკეთესო მეგობარსაც). ადგილი გამომიძებნეს და თავისკენ მიხმეს. მე კი ვითომ ვერ შევნიშნე და იქით გავწიე, სადაც შებოჭილად კი არა, თავისუფლად ვიგრძნობდი თავს.

გული სიხარულით მქონდა სავსე იმ „შურისძიების“ გამო, რაშიც ჩემი საყვარელი მსახიობები დამეხმარნენ. – ეგეც თქვენ-მეთქი, ვფიქრობდი ჩემი „მწვალებლების“ მიმართ აღელვებული და, ცოტა არ იყოს – გაამაყებულიც.

პირველად იყო, რომ ქათინაურმა კი არ გამაღიზიანა, – გამახარა.

ახალგაზრდობაში არასრულფასოვნების განცდა მაწუხებდა და ამიტომ ყოველგვარ ქათინაურს დაცინვად ვიღებდი.

ასე იყო თუ ისე, ჩემს თიკუნთა რიცხვს შეემატა „ბემბიც“, რომელსაც თამაზი სიცოცხლის ბოლომდე ძალზე მოხერხებულად იყენებდა, ისევე როგორც „გოგო, ლამაზისეულო“-ს.

**– პროფესიულზე რაღას იტყვით – თქვენს ჟურნალისტურ კარიერაზე თუ ზრუნავდა?**

ზოგადად, კარიერა მისთვის ბევრს არაფერს ნიშნავდა. მას კარგად მოეხსენებოდა, რომ არც თანამდებობა და არც სხვა რამ ტიტული ყოველთვის არ გამოხატავდა ადამიანის გონის ხარისხს.

ის პატივს მიაგებდა პროფესიონალიზმს და ბედნიერი ვიყავი, როცა მესმოდა მისგან ხუმრობანარევი ტონით ნათქვამი ქათინაური:

– „ნიჭიერი ქალი ხარ, ვაშაძე, ნიჭიერი“, ან კიდევ: „რასაც შენი ჯადოსნური ხელი შეეხებაა!..“ გაზეთში ის ჩემს განყოფილებას კურირებდა და, ბუნებრივია, ყველა ჩემს წერილსაც ის კითხულობდა.

ჩემს „პოპულარობაზე“ კი თუ როგორ ზრუნავდა, ერთ მაგალითს მოვუხმობ:

ლადო გუდიაშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ კონკურსი გამოაცხადა მხატვარზე შექმნილ საუკეთესო ფოტოზე.

ერთ დღეს თამაზი თვალებგაბრწყინებული მოვიდა შინ და მითხრა: ისეთი საჩუქარი მოგიტანე, ძალზე გაგეხარდებაო, თან კონვერტი გადმომცა. გავხსენი. შიგ ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი ფოტო აღმოჩნდა, დიდებულ მხატვართან – ლადო გუდიაშვილთან ერთად გადაღებული. ერთბაშად აღდგა წლების წინანდელი განწყობილება. იმ დღეს ბატონ ლადოს ჩვენი დიალოგი მივუტანე წასაკითხად. მან კი თავისი ახლად გამოცემული ალბომი მაჩუქა. სურათზე სწორედ ის მომენტია ასახული, როცა ამ ალბომს მათვალიერებინებს.

როცა თამაზს ვუთხარი, რა შესანიშნავია ბატონი ლადო ამ სურათში, რატომ არ დაბეჭდეთ-მეთქი, მომიგო: კი მაგრამ, საკუთარი ცოლის სურათს გაზეთში ხომ ვერ გამოვაქვეყნებდიო.

ამდაგვარი მაგალითი ბევრია. უფრო მკაცრად კი საკუთარ თავს ექცეოდა:

როცა თამაზს 50 წელი შეუსრულდა, იუბილეს აღსანიშნავად, პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ მოაკითხა. თამაზმა თავაზიანი, მაგრამ „მტკიცე არგუმენტი“ მოიშველია უარისათვის: ჯგუფელები შევთანხმდით, 60 წელზე ადრე ჩვენს შემოქმედებაზე საუბარს მოვერიდოთ – უხერხულიაო. არადა, ის, თავის ჯგუფელებზე, გასული საუკუნის ცნობილ „სამოციანელებზე“, ორი წლით იყო უმცროსი და, ბუნებრივია, მათი იუბილეების აღნიშვნა უკვე მოესწრო მასმედიას.

კარგად ვიცოდი, რომ ვერარა ძალა ვერ აიძულებდა თამაზს ტელევიზიით გამოჩენას, თუმცა ვერც კი ამეხსნა მისი ასეთი ურყევი დამოკიდებულება „ცისფერი ეკრანისადმი“. ის ხომ შესანიშნავი მოსაუბრე იყო და მკითხველთან „პირისპირ“ შეხვედრა დიდად გაზრდიდა მისი შემოქმედებისადმი ინტერესს.

...მაგრამ, როგორც ჩანს, ტელევიზიის პირველ არხს, ვიდრე თამაზს მოაკითხავდა, ლიტერატურის კრიტიკოსებისათვის მიემართა და გადაცემა ნაწილობრივ მოემზადებინა. ამიტომ, იუბილარის შეუვალი უარის შემდეგ, სხვა რა გზა დარჩენოდათ – გადაცემის მსვლელობისას, დროდადრო, კადრში თამაზის პორტრეტი გაიელვებდა ხოლმე. მაშინ ვეხუმრე, ალბათ ვინც ამ გადაცემას უყურა, ნამდვილად გარდაცვლილი ეგონები-მეთქი.

თამაზი თავის 60 წელს ვეღარ მოესწრო – 58 წლისა გარდაიცვალა. და იქნებ სწორედ იმის გამო, რომ უაღრესად დიდი განსაცდელის ჟამსაც არავის სთხოვდა შეშველებას, არავის შეაწუხებდა თავისი სატკივრით, არავის ჩააყენებდა უხერხულ მდგომარეობაში.

მეც კი არ მიმხელდა, რომ იცოდა თავისი ავადმყოფობის სიმძიმე. არასდროს დაუწუწუნია, არასდროს უთქვამს, რომ რაიმე აწუხებდა, რაც შეეძლო, მხნედ მაჩვენებდა თავს. ამ დროს კი დღიურში იწერებოდა: „სხეული დაუძლურდა. ვეღარ შემოვივლი ფეხით მთებს, ვეღარ წავალ შატილში, ვეღარ ვიცხოვრებ ყაზბეგში, ორიოდე დღეს გერგეტისა და მყინვარწვერის პირისპირ. ვეღარ ვიგრძნობ სითბოს გორისციხესა და ყანობში. ვეღარ გადავხედავ ალაზნის ველსა და დაღესტნის მთებს თელავიდან და სიღნაღიდან. აღარაფერი აღარ იქნება. ვერ გავაცოცხლებ ჩემს ვაჩნაძიანელ მეზობლებს – დაკონკილებს, შავთავშლიანებს, ნაბდისქუდიანებს, სევდიანებს, მაგრამ მაინც მხიარულებს.

ყველაფერი მხოლოდ წარსულშია“.

და ნატვრა: „ნეტავ დამაწვინა ენკენისთვის მომთენთავ დღეს ბალახზე გულაღმა და დამანახვა, როგორ მიფრინავენ წეროები სამხრეთისაკენ...“

თამაზი მძიმედ იყო ავად. როგორც ექიმებისგან ვიცოდი, უცხოეთში მკურნალობა თუ გაუხანგრძლივებდა სიცოცხლეს. არადა, ვერც ერთი ინტელიგენტის ოჯახი ვერ შეძლებდა გასწვდომოდა სამკურნალო ხარჯებს, თუნდაც ყველაფრის გაყიდვა მოეხერხებინა და უსახლკაროდ დარჩენილიყო.

90-იანი წლების დასაწყისი იყო, საქართველოსათვის უაღრესად მძიმე წლები. ორი გავლენიანი კეთილისმყოფელი გვეწვია და შემოგვთავაზა წარმოება-დაწესებულებების შემოვლა და სამკურნალო თანხის შეგროვება, რისთვისაც თამაზის თანხმობა და საბანკო ანგარიშის ნომერი სჭირდებოდათ. თამაზმა სტუმრებს მადლობა გადაუხადა შეწუხებისა და მზრუნველობისათვის, ფულის შეგროვებაზე კი უარი განუცხადა. მე განადგურებული დავრჩი, მაგრამ ხმას როგორ ამოვიღებდი. თამაზს ხომ ვერარა ძალა აზრს ვერ შეაცვლევინებდა (რაღა თქმა უნდა, ამგვარ პრინციპულ შემთხვევებს ვგულისხმობ). თუმცა არ გამოჰპარვია, რაც ჩემ სულში ხდებოდა და შეეცადა, დავემშვიდებინე, დავერწმუნებინე, რომ ახლა, როცა ყველას ასე უჭირს, ძალზე უხერხულია შენი ავადმყოფობით ვინმე შეაწუხოო. თან ხუმრობანარევი ტონით დაუმატა, წარმოიდგინე, რა მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება, სიცოცხლე რომ მარადიული იყოს, რადგან აღარ იარსებებდა ამაღლებული და მშვენიერი გრძნობები, აღარ იარსებებდა სიყვარული – ეს ერთადერთი, რისთვისაც ღირს ამქვეყნად მოსვლაო.

ერთ ჩანაწერში თამაზი ამბობს: სიკვდილის, ალბათ, იმიტომ გვეშინია, რომ მარადიულობაში გადასვლა გვაძრწუნებსო. მისი აზრით, სწორედ მედინი იყო საინტერესო და შთამბეჭდავი. მარადიული კი მოსაწყენი და ერთფეროვანი.

თუმცა ერთგან დასცდება კითხვა:

ნეტავ, რა იქნება იქ, სიბნელის მიღმა?!

**საუბარი ჩაიწერა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფმა პროფესორ მაია ტორაძის ხელმძღვანელობით.**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა გეზათის მიმდებარედ მდ. ცხენისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 150 900 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. პატარა გეზათის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 20 234 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 023,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 10 317 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №2 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ექსპლუატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) არ უნდა შეიზღუდოს მე-3 უბნის სიახლოვეს გამავალი გზის ფუნქციონირება.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. კრწანისის მიმდებარე ტერიტორია, „კრწანისის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა სამივე უბანზე - 109 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. კრწანისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 14 615 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 461,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 7 508 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 3 | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. თაგილონის მიმდებარე ტერიტორია, მდ. პატარა ენგურზე, „ენგური II" ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 48 300 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. თაგილონის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 895 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 689,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 648 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |

| | | |
|---|---|---|
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 4

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) მოპოვების პერიოდში გათვალისწინებული უნდა იყოს მდინარის ღვარცოფული ბუნება.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მკაცრად დაიცვას ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორის (საბადო) საზღვრები და მოპოვების სიღრმე.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს |
| | | სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. გალავანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. თეზამის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 63 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. გალავანის მიმდებარე ტერიტორია, |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 8 447 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 844,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 4 424 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 5

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ეკოლოგიური უსაფრთხოება.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვაქირის (სოფ. ანაგა) მიმდებარე ტერიტორია, „ვაქირის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 28 800 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვაქირის (სოფ. ანაგა) მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 682 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 468,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 541 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის | 2 წელი |
| | მოქმედების ვადა | |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 6

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლის მიმართულებით ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების წესების დაცვით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი |

| | | |
|---|---|---|
| | | კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო სარალის მიმდებარე ტერიტორია, „ზემო სარალის" ტუფის (სამშენებლო) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 87 900 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო სარალის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი № 7

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბალისაკენ, მოქმედი სამთო საქმის წესებისა და ნორმების დაცვით;<br>გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. რატევანის მიმდებარე ტერიტორია, „რატევანის" ტუფის (სამშენებლო) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 130 200 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. რატევანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი № 8

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხოეციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ექსპლუატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. სასხორის მიმდებარე ტერიტორიაზე, „მუგუის" ცეოლითის შემცველი ტუფების გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 78 200 ტონა). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. სასხორის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი № 9

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |

| | | |
|---|---|---|
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმიანობისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩორჩანას მიმდებარე ტერიტორია, „ჩუმორას" სერპენტინიტის (საღორღე ნედლეული) საბადო, (კატეგორია $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 51 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩორჩანას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 9 574 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 957,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 4 987 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 10**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია აწარმოოს მონიტორინგული დაკვირვება წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა;<br>ი) ექსპლუატაციის პერიოდში უნდა განხორციელდეს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი.<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭაბუკიანის მიმდებარე ტერიტორია (ჭაბურღილი), მიწისქვეშა მტკნარი წყალი (ჩამოსასხმელი, კატეგორია - A, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 825 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭაბუკიანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 47 188 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 4 718,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 23 794 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 11**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, |

| | | |
|---|---|---|
| | | ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 365 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ურეკის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 206 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 12**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმოწყობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის (ჭა) მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 40 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 293 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 129,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 847 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 13**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმოწყობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ხაშური, ჭანტურიას ქუჩა N43, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 2 555 მ³/წელიწადში). |

| | | |
|---|---|---|
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ხაშური, ჭანტურიას ქუჩა N43 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 83 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 8,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 242 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 14

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმოწყობილობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ოზურგეთის ტერიტორია, გრიბოედოვის ქუჩა №24, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 365 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ოზურგეთის ტერიტორია, გრიბოედოვის ქუჩა №24 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 206 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

## ობიექტი № 15

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმოწყობილობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალას ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1 825 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალას ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 31 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 216 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2015 წლის 04 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2015 წლის 05 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

ჭიდაობა

# 7-12 სექტემბერი: მსოფლიო ჩემპიონატი ლას-ვეგასში




**რევაზ მინდორაშვილმა და ბეგი დარჩიამ დაასახელეს საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებების შემადგენლობები 7-12 სექტემბერს კაზინოების დედაქალაქ ლას-ვეგასში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც იქნება პირველი და მთავარი საკვალიფიკაციო ეტაპი რიოს 2016 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის.**

ყოველ ოლიმპიურ წონაში 6 საუკეთესო მოჭიდავე (თავისუფალი 57-65-74-86-97-125, ბერძნულ-რომაული 59-66-75-85-98-130) მიიღებს რიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას.

**თავისუფალი ჭიდაობა:** ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (57), ბექა ლომთაძე (61), ავთანდილ კენჭაძე (65), დავით ტლაშაძე (70), ჯუმბერ ყველაშვილი (74), სანდრო ამინაშვილი (86), ელიზბარ ოდიკაძე (97) და გენო პეტრიაშვილი (125).

**მთავარი მწვრთნელი:** რევაზ მინდორაშვილი **მწვრთნელები:** დავით პოღოსიანი, ალექსანდრე კახნიაშვილი, ემზარ ბედინეიშვილი და არჩილ ქიტიაშვილი.

**ბერძნულ-რომაული:** მურად მიქელაძე (59), შმაგი ბოლქვაძე (66), გოგა აფრიამაშვილი (71), ზურაბ დათუნაშვილი (75), ლაშა გობაძე (80), მათე სოფაძე (85), მიხეილ ქაჯაია (98), იაკობ ქაჯაია (130).

**მთავარი მწვრთნელი:** ბეგი დარჩია. **მწვრთნელები:** ოთარ ტატიშვილი, ჯემალ ბაკურაძე, აკაკი ჩაჩუა.

**7 სექტემბერი — ბერძნულ-რომაული 66-75-98 კგ.**

**8 სექტემბერი — ბერძნულ-რომაული 59-71-80-130 კგ.**

**9 სექტემბერი — ბერძნულ-რომაული 85 კგ, ქალთა ჭიდაობა 48-53-69 კგ.**

**10 სექტემბერი — თავისუფალი 65 კგ, ქალთა ჭიდაობა 48-53-69 კგ.**

**11 სექტემბერი — თავისუფალი 61-86-97 კგ.**

**12 სექტემბერი — თავისუფალი 57-70-74-125 კგ.**

**მანუჩარ გიორგაძე**

ფეხბურთი

# წინ მივდივართ კი?..

**საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა გუნდმა ფიფა/კოკა-კოლას სექტემბრის თვის რეიტინგში აგვისტოსთან შედარებით მდგომარეობა 7 პოზიციით გაიუმჯობესა და 147-ე ადგილზეა.**



აგვისტოში საქართველოს ნაკრებს არსებობის ისტორიაში ფიფა/კოკა-კოლას რეიტინგში ყველაზე უარესი მაჩვენებელი ჰქონდა — 154-ე იყო.

რეიტინგს კვლავ არგენტინა ლიდერობს, მეორე ადგილზე ისევ ბელგიაა, ხოლო მესამეზე — გერმანია.

**ფიფა/კოკა-კოლას რეიტინგის სექტემბრის თვის მონაცემებით საუკეთესო 20 ნაკრების ჩამონათვალი ასეთია:**

1 (1). არგენტინა — 1442, 2 (2). ბელგია — 1269, 3 (3). გერმანია — 1248, 4 (4). კოლუმბია — 1224, 5 (5). ბრაზილია — 1209, 6 (6). პორტუგალია — 1186, 7 (7). რუმინეთი — 1176, 8 (6). ჩილე — 1149, 9 (9). უელსი — 1146, 10 (8). ინგლისი — 1143, 11 (11). ესპანეთი — 1122, 12 (12). ჰოლანდია — 1054, 13 (14). ავსტრია — 1038, 14 (13). ხორვატეთი — 1037, 15 (14). სლოვაკეთი — 1013, 16 (16). იტალია — 1012, 17 (17). შვეიცარია — 1011, 18 (18). ურუგვაი — 1002, 19 (19). ალჟირი — 955, 20 (20). ჩეხეთი — 940, ...31 (32). შოტლანდია — 789, ...34 (33). პოლონეთი — 764, ... 51 (50). ირლანდია — 605, ...66 (66). სერბეთი — 528, ...124 (127). მოლდოვა — 245, ...147 (154). საქართველო — 180.

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევ D ჯგუფში გერმანიის, შოტლანდიის, პოლონეთის და ირლანდიის ნაკრებები საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეები არიან. კიდევ ერთი მოწინააღმდეგე გიბრალტარი რეიტინგში არაა, რადგან ფიფაში არ მიუღიათ.

უელსის, სერბეთის, ავსტრიის, ირლანდიის და მოლდოვის ეროვნული ნაკრებები მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში D ჯგუფში საქართველოსთან ერთად იმყოფებიან.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# მაკედონია – ულიდერებოდ



**ევრობასკეტ-2015-ზე საქართველოს ერთ-ერთმა მეტოქემ მაკედონიის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისთვის საბოლოო 12-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.**

იგი ძირითადად ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული. ბალკანელებს გუნდის ორი უდავო ლიდერი ბო მაკკალები და პერო ანტიჩი არ ეყოლებათ.

**მაკედონიის 12-კაციანი შემადგენლობა:**

**ვლადო ილიევსკი („ორლანდია ბასკეტი“, იტალია), ვოიდან სტოიანოვსკი („ანდორა“), დამიან სტოიანოვსკი („სკოპიე“, მაკედონია), დარკო სოკოლოვი („კარპოს სლოკარი“, მაკედონია), ალექსანდრ კოსტოვსკი („კუმანოვო“, მაკედონია).** მარკო სიმონოვსკი („სკოპიე“, მაკედონია), ვლადიმირ ბრჩკოვსი („კოზუვი“, მაკედონია). სტოიან გუროსკი („სოფია ლევსკი“, ბულგარეთი), ლიუბომირ მლადენოვსკი („სკოპიე“, მაკედონია). **პრედრაგ სამარძისკი („“სკოპიე“), რიჩარდ ჰენდრიქსი („უნიკახა მალაგა“, ესპანეთი), ბოიან ტრაიკოვსკი („პრიშტინა“, კოსოვო).**

ევრობასკეტ-2015-ზე C ჯგუფში საქართველო, მაკედონია, საბერძნეთი, მასპინძელი ხორვატეთი, სლოვენია და ჰოლანდიის ეროვნული ნაკრებები იასპარეზებენ. პლეიოფში ჯგუფის პირველი ოთხი გუნდი გადის.

საქართველო მაკედონიის ნაკრებს 9 სექტემბერს თბილისის დროით 20 საათზე დაუპირისპირდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

კარატე

# ვერცხლის დუბლი



**ახლახან იაპონიის დედაქალაქის საბრძოლო ხელოვნების სპეციალურმა სპორტდარბაზმა „ბუდოკანმა“ მსოფლიოს შოტოკან კარატე — დოს ფედერაციის (W.S.K.F.) ეგიდით გამართულ პლანეტის XII ჩემპიონატს უმასპინძლა (მთავარი მსაჯი — ამავე ორგანიზაციის შეფ-ინსტრუქტორი, მე-8 დანის მფლობელი ხიტოში კასუია).**

ამომავალი მზის ქვეყანაში შეკრებილი 50 სახელმწიფოს წარმომადგენელთაგან მედლები მხოლოდ ათი გუნდის წევრებმა მოიპოვეს, მათ შორის ორი „ვერცხლი“ — ქართველებმა, რაც, დაგვეთანხმებით, დიდი წარმატებაა.

საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდნენ მზეჭაბუკ მახარაძე (უფროსები, ინდივიდუალური კატა) და ნოდარ ხაჩირიშვილი (უფროსები, +50 წელი, ინდივიდუალური ჯიუ-კუმიტე). ვულოცავთ!

დავძენთ, რომ ტოკიოს ფორუმს წინ უძღოდა მნიშვნელოვანი სემინარი, სადაც ჩვენმა ბიჭებმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში.

**კობა კობახიძე**

ინტერნეტიდან

# თავისნათქვამა მიქაელა

**ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელის ალბერტო აკვილანის მეუღლე, მოდელი მიქაელა კვადროჩე, მიუხედავად ქმრის დაჟინებული თხოვნისა და დიდი სურვილისა, ალბერტოს მაინც არ გაჰყვა ლისაბონში საცხოვრებლად და ამის მიზეზად მისი სამოდელო საქმიანობა დაასახელა.**

როგორც იცით, აკვილანი სათამაშოდ პორტუგალიის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან კლუბში, ლისაბონის „სპორტინგშია“ გადაბარგებული და როგორც ყველა ფეხბურთელს, მასაც სურდა, რომ ცოლ-შვილი გვერდით ჰყოლოდა, თუმცა, მიქაელა კვადროჩემ მარტო იმის პირობა მისცა, რომ ლისაბონში ხშირად ჩააკითხავს ხოლმე.

სათამაშოდ სხვა ქალაქში გადასვლა არაერთი ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელისათვის გახდა ოჯახის დანგრევის მიზეზი, რადგან ყველა ქალი დეკაბრისტის ცოლი არ არის და ზოგიერთისათვის გარემოს შეცვლა დიდ უბედურებას წარმოადგენს. როგორც ჩანს, მიქაელა კვადროჩე სწორედ ასეთი ადამიანების რიცხვშია.

**როსტომ რაჭველიშვილი**



## ო, ენავ ჩემო!

# განევრიანება?

**„ამ სიტყვას ხშირად ხმარობენ „წევრად გახდომის“ მნიშვნელობით... „გაწევრიანება“ არ შეიძლება ნიშნავდეს „წევრად გახდომას“, „წევრად მიღებას“. ეს სიტყვა „წევრიან“ სიტყვისგან არის ნაწარმოები, ხოლო „წევრიანი“ იან სუფიქსის შემცველია“, — წერდა ჯერ კიდევ 1980 წელს გამოცემულ ბროშურაში — „ქართული სწორმეტყველების ზოგიერთი საკითხი“ — ენის მკვლევარი გიორგი შალამბერიძე.**

ამის საილუსტრაციოდ მეცნიერს მოჰყავს სიტყვები: გაქონიანდა, გაჭუჭყიანდა და მისთ. ამას დავუმატებდით: გაწებოიანდა (წებოთი გაისვარა), გაზეთიანდა (ზეთიანი გახდა), გაკუდიანდა (კუდი გამოება): „...სუყველა წიგნს, როგორც სუყველა გოგოს, **გაკუდიანება** შეუძლია და მაშინ **გაკუდიანებული** წიგნის სული თავს აიშვებს და, თუ რამ გარშემო სულიერია, დიდ-პატარიანად სპობს და მუსრავსო“ (მილორად პავიჩი, ხაზარული სიტყვისკონა. თარგმნ. გ. გოგიაშვილისა), გაოქროსფრთიანდა („ოქროს ფრთის“ პრიზით დაჯილდოვდა): „რჩეულნი ისევ **გაოქროსფრთიანდნენ**“ („სრ“, 28.V.05), გამამულიანდა (მამული შეიძინა): „მაშ გლეხ-კაცმა, რომლის **გამამულიანება** ფრიად საჭიროა და სანატრელი, როგორ უნდა მიაწვდინოს ხელი მამულის სასყიდლად“... (ილია ჭავჭავაძე) და ა. შ.

მიუხედავად ენათმეცნიერის შეგონებისა და იმისა, რომ ამ ფორმას ვერსად ვერ ნახავთ წყაროებში, იგი მაინც გავრცელდა მეტყველებაში და, სამწუხაროდ, ოფიციალური დოკუმენტების ენაშიც კი დამკვიდრდა: „...კომისიამ იხელმძღვანელოს ევროპის საბჭოში საქართველოს **გაწევრიანებასთან** დაკავშირებული ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და მინისტრთა საბჭოს საგანგებო რეზოლუციით“... (აქტი); „მუხლი **61. პაი. კოოპერატივში გაწევრიანება“** (საქ. კანონი „მეწარმეთა შესახებ“); „...დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო... შეიძლება **გაწევრიანდეს,** ითანამშრომლოს... საერთაშორისო ასოციაციებთან და ფონდებთან“... (აქტის პროექტი); „.ნატოსა და ევროსტრუქტურებში საქართველოს **გაწევრიანებისათვის** აუცილებელია მეტად მტკივნეული რეფორმების გატარება“ (გაზეთი); „...80-იან წლებში ზოგიერთმა მათგანმა **გაწევრიანებამდე** სულ რამდენიმე წლით ადრე დააღწია თავი



სისხლიან დიქტატურას“... (გაზეთი)...

ახლა დავუბრუნდეთ ილია ჭავჭავაძის გლეხ-კაცს. ვთქვათ, შეიძინა მამული. რა გახდება? მემამულე, ესე იგი **გამემამულდება.** მსგავსი ფორმები ხომ უამრავია ქართულში. აი, რამდენიმე მაგალითი: „მაშ, ჩვენი „ნაროდნიკი“ **გაფეოდალებულა“** (არჩილ ჯორჯაძე); „სული როდი გვითმენდა: იქ იდგა სტუდენტობა, იქ ჩვენ გველოდა **გასტუდენტება“**; „...რაკი **გავდიდკაცდებით,** ჩვენ მარტო იმაზე ვიწყებთ ზრუნვას, რომ ადგილი არ დაგვეკარგოს, სიმდიდრე არ წაგვერთოს“ (ნიკო ნიკოლაძე); „ბრიყვს გენიოსის ციტატა ვერ **გააციცერონებს,** თუნდაც დღე-ღამე იძახე: ო, ტემპორა! ო, მორეს!“ (ლ. ალფენიძე); „ეს პროცესი, ალბათ, თანდათანობით უფრო დაიხვეწება და **გამასობრივდება** (ა. ასლანიშვილი) და სხვ.

აი, სწორედ ამ მოდელით, რომლის გამოყენებასაც გვირჩევს პროფესორი რ. შალამბერიძე, უნდა ვიხელმძღვანელოთ, როცა საქმე ეხება „წევრად გახდომას“ ანუ „გაწევრებას“.

ამის მაგალითებიც, საბედნიეროდ საკმაოდ არის პრაქტიკაში: „ქვეყნის ევროპის საბჭოში **გაწევრების** შემდეგ საქართველოს ხელისუფლების მიმართ წაყენებულ ერთ-ერთ პირობას სწორედ ამ კონვენციის რატიფიცირება წარმოადგენს“, „საქართველომ, შესაძლოა, არ დაუჭიროს მხარი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (უნდა იყოს: ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში. — **ავტ**.) რუსეთის **გაწევრებას“**, „...ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ საქართველოს ნატოში **გაწევრება** მხოლოდ დროის საკითხია? — ასეთ შემთხვევაში ნატოში **გაწევრება** მხოლოდ დროის საქმე იქნება“, „...სანამ ევროსაბჭო მონიტორინგს არ მოგიხსნის, ნატოსა და ევროკავშირში **გაწევრებაზე** ლაპარაკიც ზედმეტია“, „ამერიკელები ცდილობენ, დააჩქარონ უკრაინის **გაწევრება** ნატოში“ („სრ“); „დღეს ბევრია ისეთი, ვინც არც ერთ სტრუქტურაში არ არის **გაწევრებული**...“; „მსოფლიო საკალათბურთო ასოციაციაში... **გაწევრების** შემდეგ ძლიერი ეროვნული გუნდის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა“; „...ამორფულ კავშირში აფხაზეთის **გაწევრების** საკითხის დასმა გარკვეულ იმედს მისცემს სეპარატისტებს“... („კვ.პალ.“); „ერთი ამბავი მახსენდება, მეექვსე კლასში მე და ჩემი ძმაკაცი... როგორ **გავწევრდით** „ნორჩ ნატურალისტთა წრეში“ („ბომონდი“)...

უნდა ითქვას, რომ „გაწევრების“, „წევრად შესვლის“, „წევრად მიღების“ მნიშვნელობით კიდევ იხმარება რამდენიმე სიტყვა. ეს არის „ინტეგრირება“: „საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ნატოში **ინტეგრირების** შესახებ“, „ეს დადგენილება არის პარლამენტის პოლიტიკური წვლილი ალიანსში საქართველოს **ინტეგრირების** პროცესში“; „გაერთიანება“: „...ამ სახელმწიფოთა ევროპის კავშირში **გაერთიანების** გარეშე თვით ევროპაში ჰარმონიულ ურთიერთობათა დამყარებაზე... ლაპარაკი უაზრობაა“...

მაშასადამე, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც აზრიანი რომ იყოს ჩვენი მეტყველება, უნდა ვიხმაროთ ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიც გნებავთ სიტყვა და არა **გაწევრიანება**.

**ოთარ კაპანაძე**

# სახელმწიფო გრანტით 1400-მდე სტუდენტი დაფინანსდება

**სოციალური პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მიზნით, ბაკალავრიატის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე განცხადებების მიღება დაიწყო.**

**2015-2016 სასწავლო წლისთვის სოციალური პროგრამისთვის გამოყოფილია 2 520 000 (ორი მილიონ ხუთას ოცი ათასი) ლარი, რომლის ფარგლებში დაფინანსდება დაახლოებით 1400-მდე სტუდენტი.**

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად სტუდენტი განცხადებას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად წარადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ან შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში — საგანმანათლებლო რესურსცენტრში 2015 წლის 2 ოქტომბრის ჩათვლით.

„დაფინანსდებიან 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული, მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონში მცხოვრები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა შვილები, სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებულთა შთამომავლები, უდედმამო, მრავალშვილიანი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები, სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი და სოციალურად დაუცველი სტუდენტები.

სოციალური პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდებიან აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე 2013 და 2014 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე. ასევე, დაფინანსდებიან 2010-2014 წლების ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები; მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ან ობოლი (უდედმამო) სტუდენტები“, — აცხადებენ განათლების სამინისტროში.



## სულიერება

# სასწაულმოქმედი ქართული ხატი - მარიამ ღვთისმშობლისა



**4 სექტემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ქართული სასწაულმოქმედი მარიამ ღვთისმშობლის ხატის ხსენებას.**

ამჟამად, ვსაუბრობთ ქართულ სასწაულმოქმედ ხატზე, როდესაც მას ვუმზერთ, ჩვენ, გული მოწყალებითა და მადლიერებით გვევსება; აი, მისი ტროპარიც: „...წმინდისაგან ხატისა შენისა, ოი, ღვთისმშობელო (დედუფალო), სიწმინდენი და კურნებანი, უხვად მოეცემიან, ყოველთა სარწმუნოებითა და სიყვარულით შენდა მოლტოლვილთათა, ამისთვისცა ჩემსაცა უძლურებასა მოხედენ, და შეიწყალე სული ჩემი სახეირო, ხოლო ხორცით განკურნე მადლითა შენითა ყოვლადწმიდაო“.

მარიამ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი იმყოფებოდა არხანგელსკის ეპარქიაში, კრასნოგორის მონასტერში. ხატის შესახებ ერთ-ერთ სიგელში ნათქვამია ის აღასრულებს მრავალ სასწაულსა და კურნებას.

ვიმედოვნებთ, რომ ქართული ხატი უდიდეს მადლს მოჰფენს ქართულ მიწა-წყალს.

**გიული ლიპარტია**

## სამართალი

# სასამართლომ ნარკოტიკულ დანაშაულში ბრალდებული გაამართლა

**2015 წლის 1 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ დაასრულა საქმის განხილვა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე, ბრალდებულების ლევან თ.-ს და ლაშა თ.-ს მიმართ. სასამართლომ ლევან თ.-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა, ხოლო ლაშა თ. წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ სცნო.**

**„ლევან თ.-ს და ლაშა თ.-ს ბრალად ედებოდათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შენახვა და გასაღება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ამასთან, წარდგენილი ბრალის თანახმად, ლაშა თ.-მ ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო შემოტანა.**

**საქმე ეხება, 2014 წლის ივლისში საზღვარგარეთ ყოფნისას ლაშა თ.-ს მიერ უკანონოდ შეძენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენოფრინის“ შემცველი 571 აბის, აბის ნატეხებისა და თეთრი ფერი ფხვნილის საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო შემოტანის, შენახვისა და გასაღების ფაქტს. კერძოდ, ლაშა თ.-მ ძმასთან ლევან თ.-სთან და ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანილი ნარკოტიკული საშუალება უკანონოდ შეინახა და გაასაღა.**

**ღია სასამართლო სხდომებზე ბრალდებული ლევან თ. თავს დამნაშავედ არ სცნობდა წარდგენილ ბრალდებაში. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა19 სასამართლო სხდომა, დაიკითხა სულ 28 ბრალდებისა და დაცვის მხარის მოწმე.**

**სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულ ლევან თ.-ს მიმართ საქმეში არ არსებობდა პირის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა. ლევან თ.-ს ბრალეულობა სასამართლო სხდომებზე ვერ დადასტურდა უტყუარად და გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული სტანდარტით. ლევან თ. სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო და დარბაზიდან გაათავისუფლა.**

# მაღალჩინოსანი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის აღების ფაქტზე ვანის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი გია ნიკოლეიშვილი დააკავა.**

**გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებმა ვანის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სპეცტექნიკით უკანონოდ სარგებლობის სანაცვლოდ მოქალაქეს ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 500 ლარი.**

# მკვლელობა ფონიჭალაში

**ფონიჭალაში 17 წლის ბიჭი მოკლეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, ქორწილიდან მომავალი ახალგაზრდა ქუჩაში ურთიერთშელაპარაკების შემდეგ მოკლეს.**

**მათივე ინფორმაციით, დანაშაული ცხელ კვალზე გაიხსნა, ბრალდებული დაკავებულია. გამოძიება განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.**

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
293-37-87

### ინფორმაცია

## უპასუხისმგებლო ფეხით მოსიარულენი და „ჯიგიტი“ მძღოლები – თბილისის „სავიზიტო ბარათი“

**სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ ევროკავშირის პროექტის „ქვეითების უსაფრთხოების ადვოკატირება“ ფარგლებში ქვეითების და მძღოლების ქცევის შესახებ ჩატარებულ კვლევის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა.**

„მინისტრის დავალებით, საგზაო უსაფრთხოებაზე ახალ პროგრამას ვამუშავებთ, რომელიც უახლოეს პერიოდში განხორციელებაში ჩაეშვება. ეს იქნება ერთწლიანი კომპლექსური პროგრამა, რომელიც არაერთი მიმართულებით ითვალისწინებს სახელმწიფო ჩარევას, ეს იქნება ავტოპარკის განახლება, ქვეითთა უსაფრთხოებისა და დაცვის გარანტიები კანონმდებლობაში. ზოგიერთი მიმართულებით ჯარიმების გამკაცრება. მაგალითად, მგზავრების გადაყვანისას, როდესაც მძღოლები სახიფათო მანევრებს აკეთებენ და არღვევენ მოძრაობის წესებს. გამკაცრდება და გაუმჯობესდება ადმინისტრირება“, – განაცხადა შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ თბილისში ქვეითების ნახევარზე მეტი ქუჩას საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით კვეთს. ასევე მძღოლების დიდი უმრავლესობა – 76 პროცენტი არ უთმობს ქვეითს გზას. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ამის მიზეზი ცნობიერების დაბალი დონე, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები და ლიბერალური კანონი/კანონის აღსრულების დაბალი მაჩვენებელია.

## ნახევარი მილიონი ავტომობილი მილიონიან ქალაქში

**თბილისში ყოველდღიურად 500 000-მდე ავტომობილი გადაადგილდება, რაც უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს უფრო ზრდის, – ამის შესახებ თბილისის ვიცე-მერმა ირაკლი ლექვინაძემ ქვეითებისა და მძღოლების შესახებ ჩატარებული კვლევის შედეგების პრეზენტაციისას განაცხადა.**

ქალაქის მერის მოადგილის ინფორმაციით, თბილისის მერია აქტიურად ჩაერთვება როგორც ქვეითების, ასევე მძღოლების ცნობიერების ამაღლებაში და თბილისში ინფრასტრუქტურული პროექტების მოწყობაში, რათა სამომავლოდ უსაფრთხო იყოს ქალაქში გადაადგილება.

### საგანგებო ვითარება

# თბილისის სატრანსპორტო ქაოსს ვითომ მოვერევით?!.



**რატომ გაჩნდა თბილისის ქუჩებში საცობები? – ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია. 2005 წლიდან დღემდე, ყოველწლიურად საქართველოს ავტოპარკს დაახლოებით 100 000 ავტომობილი ემატებოდა, 2012 წლის მონაცემებით 900 000 ავტომობილი იყო რეგისტრირებული, დღეს, რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობამ 1 000 000-ს გადააჭარბა.** ეს ბუნებრივი პროცესია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ფაქტორს: 2014 წლის აპრილიდან შეწყდა მეორადი ავტომობილების ექსპორტი აზერბაიჯანში, რამაც გამოიწვია ავტომობილების ფასის მკვეთრი ვარდნა; ყოველგვარი რეგულაციებისა და შეზღუდვების გარეშე შიდაწვისძრავიანი ავტომობილების ალტერნატიულ, შედარებით იაფფასიან საწვავზე, გაზზე გადაყვანა. შესაბამისად, ერთ დროს ფუფუნების საშუალების სტატუსის მატარებელი ავტომობილი, ხელმისაწვდომი გახადა ყველა სოციალური ფენისთვის. ესეც ბუნებრივი და გასაგებია, პრობლემა კი შემდეგშია: წლებთან ერთად იზრდებოდა ავტომობილების რაოდენობა, მაგრამ შესაბამისად, ვითარდებოდა ინფრასტრუქტურა, შენდებოდა ახალი ხიდები, ესტაკადები, გვირაბები, ჩქაროსნული მაგისტრალები, მიწისზედა გადასასვლელები, ხდებოდა საგზაო ნიშნების მოდერნიზება და პარკირების სისტემის მეტ-ნაკლებად მოწესრიგებაც.



მოგეხსენებათ, ნაცვლად იმისა, რომ თბილისში გაუმჯობესებულიყო საგზაო ინფრასტრუქტურა, რაც განტვირთავდა მოძრაობას და მოგვცემდა საშუალებას თავიდან აგვეცილებინა ინტენსიური საავტომობილო საცობები, გვაქვს დანაკლისები საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანდა ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე ყველაზე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი, რომელიც 35%-ით ახდენდა მოძრაობის განტვირთვას ცენტრალურ უბნებში.

სამწუხაროდ, სარეაბილიტაციო სამუშაოები გზის ამ მონაკვეთზე ნელი ტემპით მიმდინარეობს და გზის სავალი ნაწილის აღდგენა როდის მოხერხდება, არ ვიცით. ასევე აღსანიშნავია, რომ თბილისის მასშტაბით რამდენიმე მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძზე შეფერხებით მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასეთია მარშალ გელოვანის გამზირი და ავჭალის ხიდი, ავტოსატრანსპორტო საშუალებებს უწევთ შემოვლითი გზებით სარგებლობა, რაც გამტარუნარიანობის კოეფიციენტს სამჯერ ამცირებს.

თბილისში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურაც კი არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ არ ყოფილიყო ინტენსიური საცობების საშიშროება, მაგრამ დღევანდელი არსებული მონაცემებით ვითარება ბევრად უფრო მძიმეა. 10-15 სექტემბრიდან, როგორც კი დაიწყება აქტიური სასწავლო და სამუშაო წელი და მოძრავი ავტომობილების რაოდენობა გაიზრდება, მოძრაობის პარალიზება გარდაუვალია. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება ნალექის მოსვლის შემთხვევაში. ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამტარუნარიანობის კოეფიციენტი ბევრად უფრო მცირდება, როცა ნალექი თოვლის ან ინტენსიური წვიმის სახით მოდის და ამას ემატება ტემპერატურის ვარდნა და ყინვები.

თბილისის მოსახლეობასთან ერთად, განსაკუთრებული პრობლემები შეექმნება საგანგებო სიტუაციების სამსახურის (სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სახანძრო და სხვა სამაშველო) ავტომობილების გადაადგილებას, რაც, შესაძლოა, გახდეს უბედური შემთხვევების ტრაგიკულად დასრულების სტატისტიკის ზრდის მიზეზიც. საფრთხის წინაშე დგება ადამიანის ჯანმრთელობა და მათი სიცოცხლე. საცობების პრობლემა გასცდება ქუჩებს და გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე, ჯანდაცვაზე, ეკოლოგიაზე და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე, გამომდინარე იქიდან, რომ პრობლემა ექმნება სადისტრიბუციო ავტომობილების ექსპლუატაციას, და ადამიანების გადაადგილებას, რაც პირდაპირ კავშირშია თითოეული ადამიანის და ორგანიზაციის ეფექტურ საქმიანობასთან.

აუცილებელია სწრაფი ზომების მიღება, ახალი ავტოსატრანსპორტო ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობისთვის. ამ ყველაფრისთვის კი აუცილებელია ეფექტური, პროგრესული და მობილური ხელისუფლება, რომელიც სფეროს ექსპერტთა მოსაზრებებს მოისმენს და ადეკვატურად იმოქმედებს ქალაქის საკეთილდღეოდ.

ჩვენი ორგანიზაცია, სხვადასხვა კვლევაზე დაყრდნობით, ჯერ კიდევ 2014 წლის შემოდგომიდან საუბრობდა მოსალოდნელ სატრანსპორტო კრიზისთან დაკავშირებით. არაერთხელ მივმართეთ რეკომენდაციებითა და რჩევებით თბილისის მერიას, ექსპერტებთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შევიმუშავეთ დოკუმენტი, სტრატეგია „სმარტ სითი“, სადაც დეტალურად გაწერილია რეკომენდაციები თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის რომ თბილისის ქუჩებში მოძრაობა განიტვირთოს.

**ვასო ურუშაძე,**
**„ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი**

### კადრი



### ცინცხალი ანეკდოტები

**– ჭიჭიკია, როდის მთავრდება მარხვა, თუ იცი?**
**– რეიზა გაინტერესებს, ბიჭო?**
**– რეიზა და იმიზა, რომ მწვადი ვჭამო გემოზე!**
**– რავა, ახლა ვერ ჭამ თუ?**
**– კი ვჭამ, ბატონო, მაგრამ რაცხა ფორიაქით...**

* * *

**– ღედიკო, გახსოვს ის ჩინური ლარნაკი, ჩვენ ოჯახში თაობიდან თაობას რომ გადაეცემოდა?**
**– კი მახსოვს, შვილო, მაგრამ რატომ მეკითხები?**
**– იმიტომ რომ ჩემმა თაობამ ეს უძველესი ტრადიცია ეს-ესაა დაარღვია...**



**როგორ შეიძლება მამაკაცმა ქალისა გაიგოს, როცა ჯერ იმის გაგებაც ვერ მოუხერხებია, თუ რატომაა, რომ ქალები ჯერ წარბებს იპუტავენ, მერე კი მათ ახლიდან იხატავენ?**

* * *

**თქვენ ნამდვილად დიდად ბოღმიანი კაცი ხართ, თუ სკოლა 30 წლის წინათ გაქვთ დამთავრებული, მაგრამ მისთვის ცეცხლის წაკიდება მაინც კვლავინდებურად გინდათ.**

* * *

**– ექიმო, თქვენ რომ გამომიწერეთ ის დიდი ოყნა ვიყიდე. ახლა რა ვუყო?**
**– რა უნდა უყოთ და უკანალში გაიკეთეთ.**
**– იცით, ექიმო, სჯობს ხვალ დაგირეკოთ, როცა უკეთეს გუნებაზე იქნებით.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე